ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

23 — 24 მარტი, 2013 | №69 (6070) | ფასი: 30 თეთრი

13 მარტიდან!
„ახალი თაობა“
+
შექსპირი
8 ლარი



ბიძინა ივანიშვილი: „მე ნაციონალური მოძრაობა გადავარჩინე“

გვ.3

რითი იმუქრება მიხეილ სააკაშვილი

ნანა კაკაბაძე: „სამართლიანობა ხალხმა უნდა აღადგინოს“

გვ.4

„ვანო მერაბიშვილი ნელი მოქმედების ნაღმია როგორც ჯავახეთში, ისე მთელ ქვეყანაში“

გვ.2

ნინო ბურჯანაძე მომავალი კვირიდან მორატორიუმს არღვევს

გვ.4

სუბარი პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას არ დაესწრება

გვ.5

კახა კალაძე: „პარლამენტს წართმეული უფლებები დაუბრუნდა“

გვ.5

ხადური თავდაცვის სამინისტროს დამატებით თანხებს გამოუყოფს

გვ.5

ISSN 1987-9385

15 მარტიდან!
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი



შორენა კოწოწაშვილი

დავით ლილუაშვილი: „ვანო მერაბიშვილი ნელი მოქმედების ნაღმია როგორც ჯავახეთში, ისე მთელ ქვეყანაში“

რა საფრთხის წინაშე აყენებს „ქართული ოცნების“ უმოქმედობა სამართლიანობის აღდგენის გზაზე და რას უნდა ველოდოთ 19 აპრილს დაანონსებული აქციით მერაბიშვილისა და ახლა უკვე ივანიშვილის გუნდის მიერ მეორე სუნთქვაგახსნილი ნაციონალებისგან? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს უფლებადამცველ დავით ლილუაშვილთან.

– ბატონო დავით, როგორ შეაფასებდით ტენდენციას, რომელიც ხელისუფლების მხრიდან სამართლიანობის აღდგენის პროცესს ახლავს და რამდენად უარყოფითად ხვდება საზოგადოება იმას, რომ საკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს სასამართლო აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობას არ უფარდებს?

– საზოგადოების დიდ ნაწილს უჭირს გაგებით შეხვდეს იმ გაწელილ პროცესს, რასაც ჰქვია სამართლიანობის აღდგენა. ქუჩებში კვლავ თავისუფლად დაიარებიან მკვლელები და ჯალათები, უფრო მეტიც, ისინი ტელეეთერიდან აკეთებენ ცინიკურ და გამომწვევ განცხადებებს. გაუმართლებელია, რომ დღემდე არ ან ვერ ხერხდება წინა ხელისუფლების დამნაშავე მაღალჩინოსნების პასუხისგებაში მიცემა, ამით გაღიზიანებული საზოგადოება უკვე ალაპარაკდა პირად ანგარიშსწორებაზე. რაც შეეხება სასამართლოს და აღმკვეთი ღონისძიებების საკითხს, აქ მთლიანად საზოგადოების გულისწყრომის მთავარი სამიზნე და დამნაშავე არის საკაშვილის ჯიბის სასამართლო, რომელიც კვლავ რჩება მისი გავლენის ქვეშ და მფარველობს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს.

– თუკი დამნაშავე ნაციონალების არდაჭერების ტენდენცია გაგრძელდა, რამდენად მოკლე პერიოდში დასწევს ეს ხელისუფლების იმიჯს?

– პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი თავის გუნდთან ერთად წინასაარჩევნოდ ამომრჩეველს დაჰპირდა სამართლიანობის აღდგენას და ყველა დამნაშავის დასჯას, სხვათა შორის, მოსახლეობის დაკვეთაც ასეთი იყო. თუ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება დღეს ვერ უზრუნველყოფს წინა ხელისუფლების ყველა დამნაშავე მაღალჩინოსნის კანონის შესაბამისად დასჯას, საკაშვილისა და მერაბიშვილის ჩათვლით, ეს არა მარტო ახალი ხელისუფლების იმიჯს დასწევს, არამედ გაჩენს მრავალ კრიტიკულ კითხვას და უკმაყოფილებას საზოგადოებაში.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ გლდანის საპყრობილის პატიმრები ბაჩო ახალაიას ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვენ. როგორც უფლებადამცველს, გაქვთ თუ არა თქვენც მსგავსი ინფორმაცია და როგორ ფიქრობთ, ესეც პოლიტიკური ვაჭრობის საკითხია თუ პატიმრების ჯალათ ახალაიას სიცოცხლეს მართლაც საფრთხე ემუქრება?

– გასაკვირი არ არის პატიმრებში იყოს ამგვარი განწყობა, ბაჩო ახალაია ხომ ის ოდიოზი ადამიანია, ვისაც უკავშირდება არაერთი ჩადენილი მძიმე დანაშაული. სწორედ მან დანერგა პენიტენციალურ სისტემაში პატიმართა მიმართ სადისტური მოპყობის პრაქტიკა, რასაც ასეულობით პატიმრის სიცოცხლე შეეწირა. მე, რა თქმა უნდა, ვერ გავამართლებ ახალიას ლინჩის წესით დასჯის იდეას, ის მართლმსაჯულების მიერ კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს. ერთია მის მიმართ პატიმართა განწყობა და სულ სხვა რამ არის მისი სიცოცხლის უსაფრთხოების გარანტიები, რაც დარწმუნებული ვარ, შექმნილი აქვს სასჯელაღსრულების სამინისტროს და მისი უსაფრთხოების დაცვის მხრივ, არანაირი პრობლემა არ იქნება.

– ბატონო დავით, საკმაოდ დიდი კითხვის ნიშნებს აჩენს პოლიტპატიმართა სია და ამ საკითხით უმცირესობაც კარგად სპეკულირებს. საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრაზე ნანა კაკაბაძის გვარმაც გაიჟღერა. თქვენი ინფორმაციით, მართლაც მოხვდნენ საეჭვო პირები პოლიტპატიმართა სიაში და გსმენიათ, რომ ვინმემ ამ სიაში მოხვედრისთვის ფული გადაიხადა?

– ცოტა უცნაური კითხვაა, მთელი საქართველო მხარს უჭერდა პოლიტპატიმრების განთავისუფლებას, მათ შორის ვიყავით უფლებადამცველებიც, ამ პროცესში ჩართული იყო სამოქალაქო საზოგადოების ფართო სპექტრი და აქ ვინმეს ფული ეკეთებინა, წარმოუდგენელია. რაც შეეხება ნანა კაკაბაძეს, მან მხოლოდ პოზიტიური როლი შეასრულა პოლიტპატიმართა განთავისუფლების საქმეში. მე ვფიქრობ, სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ ააგორა ეს „შავი პიარი“ იმის გადასაფარად, რომ ქვეყანას მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჰყავდა ასეულობით პოლიტპატიმარი.

– საკაშვილის გუნდი ახალ ხელისუფლებას ნეპოტიზმში სდებს ბრალს. ნაციონალებს მორალური უფლება აქვთ ნეპოტიზმზე ილაპარაკონ, როცა ამის მაგალითი იგივე ძმები კუბლაშვილები არიან?

– ნეპოტიზმი არის ის მანკიერი მოვლენა, რომელიც არ უნდა არსებობდეს დემოკრატიული ხელისუფლების წიაღში, როცა ამგვარი ფაქტები იყო საკაშვილის რეჟიმის დროს, ეს გასაკვირი არ იყო, მთავარია, ეს პრაქტიკა აღარ გაგრძელდეს ახალი ხელისუფლების პირობებში და რაც მთავარია, ეს ნაციონალური მოძრაობის წამოსაძახებელი და მისათითებელი არ გახდეს. ამიტომ დიდი დაფიქრება მართებს ივანიშვილის ხელისუფლებას საკადრო პოლიტიკის განხორციელებისას. მათთვის მიუღებელი უნდა იყოს ახლობლებისა და ნათესავების დანიშვნა თანამდებობებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ დარღვევას, როგორიცაა ინტერესთა კონფლიქტი.

– რას იტყვით სასამართლოს დღევანდელ მდგომარეობაზე და როგორ ფიქრობთ, შეძლებს საკაშვილი სასამართლო ხელისუფლებაზე გავლენის შენარჩუნებას და პოლიტიკური ინტერესების გატარებას?

– სასამართლო ხელისუფლება და მრავალი მოსამართლე რომ ჯერ კიდევ საკაშვილის დიქტატის ქვეშაა, ეს კარგად ჩანს მძიმე ბრალდებებით დაკავებულ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებაში, რაც გამოიხატება აღმკვეთი ღონისძიების შერჩევისას, როცა მძიმე ბრალდებით დაპატიმრებულ პირთა მიმართ ხდება მხოლოდ მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიების სახის, გირაოს შეფარდება. როცა იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტი იქნება მიღებული, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების ახალ წესს ითვალისწინებს, ვფიქრობ, სასამართლო სისტემა განთავისუფლდება საკაშვილის და კუბლაშვილის მარწუხებისგან. ისე, მინდა გითხრათ, რომ სასამართლო კორპუსში არიან ისეთი მოსამართლეებიც, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან იმ მკვლელებს და ჯალათებს, ვინც შეიწირა ასობით ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე. ამიტომ, ასეთმა მოსამართლეებმა აუცილებლად უნდა აგონ პასუხი.

– იყო თუ არა მართლაც შეცდომა პრემიერ ივანიშვილის მისვლა კოტე კუბლაშვილთან და რითი ახსნიდით ვანო მერაბიშვილის გააქტიურებას, რომელიც ხელისუფლებას კონსულტაციებსაც კი სთავაზობს ჯავახეთის რეგიონთან მიმართებაში? ფაქტია, ჩახალიანის გათავისუფლებას სომხურის რეგიონულ ენად გამოცხადების მოთხოვნა მოჰყვა... შეცდომა იყო მისი ციხიდან გამოშვება?

– ჩემთვის აღმაშფოთებელი იყო ტელევიზიით იმ კადრების ყურება, როცა ივანიშვილი და კუბლაშვილი ერთად ვიხილე. გაუგებარი იყო ივანიშვილის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება კუბლაშვილის მიმართ. არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ სწორედ კუბლაშვილმა შექმნა ის კვაზისასამართლო სისტემა, რომლის მსხვერპლი იყვნენ ასობით პოლიტპატიმარი, ათასობით უკანონო პატიმარი, საკუთრებაჩამორთმეული და ბიზნესწართმეული ადამიანები. აქედან გამომდინარე, როცა ხელს ართმევ ადამიანს, რომელიც ამდენ უსამართლობაზე ან თვალს ხუჭავდა, ან პირიქით, ახდენდა შერჩევითი მართლმსაჯულების წახალისებას, ასეთ ოდიოზურ ფიგურასთან მეგობრული შეხვედრა, წესით, უხერხულობას უნდა გიქმნიდეს. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, მას აქტიურობა და ცალკეული ინიციატივები სჭირდება, ერთი მხრივ, დასავლეთის დასანახად, რათა დააფიქსიროს პოზიცია, რომ „ნაციონალების“ ინიციატივით მიმდინარეობს კოჰაბიტაციის პროცესი და მეორე მხრივ, იგი ახალი ხელისუფლებისათვის აღქმული იყოს, როგორც საჭირო პოლიტიკური პერსონა და ამ მდგომარეობით მოახდინოს პოლიტიკური სპეკულირება. მერაბიშვილს ურჩევნია გამოძიებასთან ითანამშრომლოს და ამ მხრივ იაქტიუროს, მისცეს ჩვენებები საკუთარი და თავისი თანაგუნდელების მიერ ჩადენილი დანაშაულებების შესახებ. ჩახალიანის პოლიტპატიმრობა დაადგინა არასამთავრობო ორგანიზაციებით დაკომპლექტებულმა კომისიამ, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან. ჩახალიანის და სხვა პოლიტპატიმრების განთავისუფლებას მხარი დაუჭირა პარლამენტის უმრავლესობამ და ამით ყველაფერია ნათქვამი. ვფიქრობ, ჩახალიანი კი არა, ვანო მერაბიშვილია ნელი მოქმედების ნაღმი როგორც ჯავახეთში, ისე მთელ ქვეყანაში. ტყუილად არ დააანონსა სწორედ ვანო მერაბიშვილმა ნაციონალური მოძრაობის 19 აპრილის მიტინგი. ვფიქრობ, ინტრიგებისა და პროვოკაციების „დიდოსტატი“ მერაბიშვილისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ.

„ახალი მემარჯვენეები“ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ

პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები,“ 27 აპრილის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებს. ამის მიზეზად პარტიაში, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ორპოლუსიანობას ასახელებენ, რაც მათი თქმით, რომელიმე სხვა პოლიტიკური ძალის წარმატებას გამორიცხავს.

„1 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ გაჩნდა გარკვეული მოლოდინი, რომ არჩევნებისთვის შეიქმნებოდა რეალურად კონკურენტული გარემო და შუალედურ არჩევნებამდე გადაიდგმებოდა გარკვეული ნაბიჯები თუნდაც პარტიათა დაფინანსების წესის შეცვლისა და მაჟორიტარ დეპუტატად გასვლისთვის აუცილებელი 50%-იანი ბარიერის დაწესების თვალსაზრისით. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით ჩვენ გავაკეთეთ განაცხადი შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ და დავიწყეთ შესაბამის ოლქებში შესაძლო კანდიდატურების განხილვა. სამწუხაროდ, ამ ცვლილებების განხორციელება 27 აპრილს დანიშნული არჩევნებისთვის ვერ მოხერხდა. ეს გარემოება და ამავე დროს ჯერ კიდევ არსებული პოლიტიკური ორპოლუსიანობა, ჩვენი აზრით, პრაქტიკულად გამორიცხავს რომელიმე სხვა პოლიტიკური ძალის წარმატებას 27 აპრილის შუალედურ არჩევნებში. ვთვლით, რომ მონაწილეობას მხოლოდ მონაწილეობისთვის აზრი არ აქვს. აქედან გამომდინარე „ახალი მემარჯვენეები“ ვაცხადებთ, რომ არ ვიღებთ მონაწილეობას შუალედურ არჩევნებში და შესაბამისად, აღარ წარვადგენთ კანდიდატურებს იმ ოლქებში, სადაც არჩევნებია დაგეგმილი“-ნათქვამია „ახალი მემარჯვენეების“ განცხადებაში.

ნიუსპრესი

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა „Twining“-ის პროექტის ფარგლებში მორიგი შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დირექტორმა და დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, პროექტ „Twining“-ის ფარგლებში, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო თავდაცვის დირექტორატის საერთაშორისო ურთიერთობების მისიის ხელმძღვანელ ფილიპ ნარდინისთან და ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო და სამაშველო დეპარტამენტის მოადგილე არტურას რახკაუსკასთან სამუშაო შეხვედრა გამართეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს, პროექტის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს და ერთიანი სამოქმედო სტრატეგია შეიმუშავეს.

პროექტ „Twining“-ის მიზანი შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მხარდაჭერაა, ქვეყანაში საგანგებო სიტუაციების მართვის გასაუმჯობესებლად. პროექტი ევროკავშირის დაფინანსებითა და ორგანიზებით 1 წელია მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

ბათუმში ქართველი და თურქი სამართალდამცველების ერთობლივი კომისიის სხდომა გაიმართა

ბათუმში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნული პოლიციის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისიის მე-4 სხდომა გაიმართა, რომელიც „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში ჩატარდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრისას მხარეებმა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ტრფიკინგის, ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის სხვა სახეების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საკითხები განიხილეს. ასევე, კომისიის წევრებმა ხელი მოაწერეს სხდომის ოქმს, რომელშიც ურთიერთთანამშრომლობის გეგმები განისაზღვრა.

შეხვედრას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე, შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროსა და შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები, თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან კი თურქეთის ეროვნული პოლიციის გენერალური დირექტორის მოადგილე ზექი ჩათალქაია და თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა მაღალი თანამდებობის პირები ესწრებოდნენ.

ერთობლივი კომისიის სხდომა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკაში მონაცვლეობით იმართება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბიძინა ივანიშვილი: „მე ნაციონალური მოძრაობა გადავარჩინე“

რითი იმუქრება მიხეილ სააკაშვილი

შორენა მარსაგიშვილი

მართალია არა ოქროს ასოებით, მაგრამ 21 მარტი მაინც შევა საქართველოს ისტორიაში. ახლა გასარკვევი ისაა, რა მოუტანა ამ დღემ საქართველოს. ნაციონალური მოძრაობა რომ ხელახლა დაიბადა, ეს სააკაშვილმა ამაყად გვამცნო. არანაკლები სიამაყით გვაუწყა ბიძინა ივანიშვილმა, რომ ნაციონალური მოძრაობა უფსკრულში გადაჩეხვისგან იხსნა. არადა, ქართველ ამომრჩეველს 1 ოქტომბერს ქართული ოცნებისთვის ხმა იმიტომ არ მიუცია, ნაციონალური მოძრაობა გადაგვირჩინეო, მაგრამ როგორც ამბობენ, ქვეყნისთვის და დემოკრატიისთვის ასე ჯობდა.

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ ამბავმა ძალიან გაახარა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი. რომელიც ბოლო ხანებში ამ ქვეყნის „მთლად უფროსი“ გახდა. რამდენიმე საათით ადრე, სანამ პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს უყრიდა კენჭს, ის პარლამენტში მივიდა და დეპუტატებს შეხვდა.

საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბარი მეოცნებეებმა 3 თვის წინ დაიწყეს. ამტკიცებდნენ, ამ ცვლილებებს მაინც გავიტანთო. არადა ყველამ ვიცოდით, რომ მათ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავდათ.

საკონსტიტუციო უმრავლესობის მისაღწევად მათ ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ. როგორც ნაციონალები ამტკიცებდნენ, მათი წევრების გადასაბირებლად მეოცნებეები ყველაფერს კადრულობდნენ. ამტკიცებდნენ, ზეწოლის არნახულ ფორმებს მიმართავენო. ისე, ნაციონალები ზეწოლის ფორმებზე რომ საუბრობენ, წესით ცოტა უნდა შერცხვეთ. მათი ზეწოლის ფორმებზე საქართველოში დღემდე ლეგენდები დადის და სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ხმა ქართულ ოცნებას მისცა. გამარჯვებული ოცნება პირობას დებდა, რომ ქვეყანაში სამართალს აღადგენდა, 21 მარტს მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ კი ბევრს შეეპარა ეჭვი, რომ სამართალი პურს შეჭამს.

სამართალი ჯერ ისევ დიეტაზეა. სამაგიეროდ, ნაციონალებსა და მეოცნებეებს გაუმართავთ დიდი პურისჭამა 21 მარტის გადაწყვეტილების გამო. არადა, კენჭისყრამდე ერთმანეთს ფაქტიურად დედას აგინებდნენ, ოღონდ კულტურულად.

საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის მხარდაჭერის სანაცვლოდ ნაციონალები სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირობებს აყენებდნენ. თავიდან მოითხოვეს საგარეო კურსის უცვლელობაზე ჩანაწერი გააკეთეთ კონსტიტუციაშიო. მერე აიჩემეს, ამნისტია შეგვახეთ ნაციონალებსო. ბოლო პირობა კი სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება იყო.

როგორც უკვე ვთქვით, მეოცნებეები ამტკიცებდნენ, იმაზე მეტი ხალხი გვყავს, ვიდრე ეს საკონსტიტუციო ცვლილებებს სჭირდებაო. ნაციონალები ამაზე მელაკუდებივით საეჭვოდ იღიმოდნენ. ორივე მხარე ერთმანეთს ხელის გადაგრეხვის მცდელობაში სდებდა ბრალს. ეს პროცესი მეტ-ნაკლებად დასრულდა, ოღონდ ვერავინ გაიგო, რომელმა რომელს გადაუგრიხა. მეოცნებეები თავის თავზე იბრალებენ გადაგრეხვას, ნაციონალებს იქეთ მიაჩნიათ თავი გადამგრეხავებად.

მეოცნებეთაგან მრავალგზის ნაგინები სარეიტინგო კენჭისყრა მაინც ჩატარდა. ამ კენჭისყრამ გამოაჩინა, რომ მეოცნებეებს მხოლოდ 93 ხმა ჰქონდათ. საოცნებო ცვლილებებამდე 7 ხმა აშორებდათ. სხვათა შორის, მანამდე მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ საპარლამენტო უმრავლესობას 6 თუ 7 ხმა აშორებსო. სარეიტინგო კენჭისყრის შემდეგ უკვე ჩვეულებრივი კენჭისყრა ჩატარდა. ცვლილებები პირველი მოსმენით 135 ხმით გავიდა.

საკონსტიტუციო ცვლილებებს არც მეორე მოსმენით გასვლა გასჭირვებია. 22 მარტს ცვლილებებს მხარი 123 დეპუტატმა დაუჭირა. მესამე მოსმენით ცვლილებებს კენჭს 25 მარტს უყრიან. პარლამენტის თავმჯდომარემ უკვე მიმართა პრეზიდენტს რიგგარეშე სხდომის დანიშვნის მოთხოვნით.

ამ ცვლილებების წყალობით სააკაშვილი მთავრობას თავის ნებაზე ვეღარ გაუშვებს. ეს ქვეყნისთვის კარგია. საზოგადოებაში კი ბევრი კითხვაა გაჩენილი. ერთ-ერთი მთავარი კითხვა ისაა, რა საჭირო იყო სარეიტინგო კენჭისყრა, რომლის ჩატარებაც ნაციონალებმა ასე დაიჟინეს.

დეპუტატ თინა ხიდაშელის განმარტებით, სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარების დაჟინებული მოთხოვნით, ნაციონალურმა მოძრაობამ დაადასტურა, რომ ერთმანეთს არ ენდობიან და გუნდში ბზარი და პრობლემებია.

– არავითარი ერთიანობა მათ გუნდში არ არის. ერთმანეთს არ ენდობიან და ის, რისიც ეშინოდათ, ბოლო ორი დღის განმავლობაში ძალიან ნათლად გამოავლინეს. ამბობდნენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას არ აპირებდნენ. სააკაშვილი გუშინდლამდე აცხადებდა, რომ ეს მათთვის მიუღებელი და გაუგებარი გადაწყვეტილება იყო. თუკი ერთიანნი იყვნენ, არ მიიღებდნენ კენჭისყრაში მონაწილეობას და პროექტი ჩავარდებოდა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მათ ჩვენზე კარგად იცოდნენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები მაინც გადიოდა, პროცედურული თემის წამოწევა დასჭირდათ, – მიიჩნევს დეპუტატი თინა ხიდაშელი.

დავით ბერძენიშვილის მტკიცებით კი, 21 მარტს ადგილი ჰქონდა იმ დეპუტატთა კენჭისყრისგან იზოლირების მცდელობას, რომლებიც შესაძლოა, „ნაციონალებს“ არ დამორჩილებოდნენ.

როგორც ბერძენიშვილმა გადაცემა „პოლიტმეტრში“ განაცხადა, რამდენიმე დეპუტატი ნაციონალური მოძრაობიდან, რომლებიც გუშინდელ პლენარულ სხდომას ესწრებოდნენ, უცებ, საღამოს აღმოჩნდა, რომ სადღაც გაფრინდნენ. დავით ბერძენიშვილმა კოლეგების სახელი არ დააკონკრეტა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ იყო ერთი-ორი ასეთი დეპუტატი.

21 მარტის გადაწყვეტილებით კმაყოფილია საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე. მისი თქმით, 21 მარტის გადაწყვეტილებამ დააფიქსირა, რომ პარლამენტში ოპოზიციას აქვს მნიშვნელობა.

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად განსხვავებისა, საბოლოო ჯამში გადაწყვეტილება მიღებულია იმ ფორმით, რომელმაც ერთი მხრივ დააფიქსირა, რომ საქართველოს პარლამენტში ოპოზიციას აქვს მნიშვნელობა და ოპოზიციის მონაწილეობის გარეშე ვერ იქნება მიღებული საკონსტიტუციო ცვლილება და, მეორე მხრივ, ეს იყო ის ფორმა, რომელმაც გამოაჩინა, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან თემებზე ჩვენ შეგვიძლია საერთო ენის გამოძებნა. ამიტომ ვფიქრობ, საბოლოო შედეგი იყო კარგი. ეს იყო შედეგი, რომელმაც გამოამჟღავნა, რომ ოპოზიციისკენ გადადგმულ ნაბიჯს ყოველთვის მოყვება ადეკვატური რეაგირება ჩვენი მხრიდან ყველა იმ საკითხში, რომელიც ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი, – აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

ამ ამბებით ყველაზე გახარებული საქართველოს პრეზიდენტი იყო. მან მთელ ერს გვახარა, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელახლა დაიბადა. ამით ბედნიერი სააკაშვილი ამბობს, რომ მას პოლიტიკური პროცესებიდან ვერავინ გაიყვანს.

– ყველანაირი მცდელობა, რომ მე გამიყვანონ პოლიტიკური ბრძოლიდან, ახლა ან მომავალ წლებში, არ გამოგივათ, იმიტომ,

რომ მე ვიქნები ერთ-ერთ მებრძოლი იმ ბრძოლაში, რომელსაც დემოკრატიისა და განვითარების საბოლოოდ დამკვიდრება და გაგრძელება ჰქვია. მე მინდა ვუთხრა ხალხს, გულს ნუ გაიტეხთ, ჩვენი ბრძოლა გრძელდება და დღეს ვაჩვენეთ, რომ ძალიან ბრძოლისუნარიანები ვართ. ჩვენ ჩვენს ბრძოლას გავაგრძელებთ, მე თქვენთან ერთად ამ ბრძოლას გავაგრძელებ. პრეზიდენტის რანგში თუ პრეზიდენტის რანგის გარეშე მანამ, სანამ საქართველოს ხელახლა გადარჩენის საკითხი დგას. დღეს გამოჩნდა, რომ ყაჩაღური რუსული მეთოდებით საქართველოში ოპოზიციასთან ვერავინ ვერასოდეს ილაპარაკებს. „ჩვენ საქართველო გადავარჩინეთ 2003 წელს, 2008 წელს და საქართველოს გადავარჩენთ ამ გამოწვევებშიც, რომლებიც სახეზეა. ამ ბრძოლას მივიყვანთ ბოლომდე. მე ამ ბრძოლაში თქვენთან ერთად ვარ ბოლომდე და ჩვენ, როგორც დღეს გავიტანეთ ჩვენი პოზიცია, ასევე გავიტანთ ჩვენს პოზიციებს ბოლომდე, – დასძინა პრეზიდენტმა.

ამ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული ამერიკის შეერთებული შტატების ელჩიც და რა გასაკვირია, შედეგებმა ისიც რომ გაახარა. მისი თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებებზე შეთანხმება ხელს შეუწყობს საქართველოში პოლიტიკურ ჰარმონიას.

– შეერთებული შტატები ულოცავს საქართველოს ლიდერებს, აგრეთვე საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას იმ ფორმულაზე შეთანხმებას, რომელმაც პარლამენტს საშუალება მისცა, პირველი მოსმენით მიეღო კანონპროექტი საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება საქართველოში პოლიტიკურ ჰარმონიას შეუწყობს ხელს. ესაა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გზას გაუკვალავს ქართული დემოკრატიის კონსოლიდირებას, – აღნიშნულია აშშ-ს საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პარაშუტები ნაციონალების გადასარჩენად

21 მარტის კოჰაბიტაციამ საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. უკვე გაჩნდა მოსაზრებები, რომ სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ოცნებად დარჩა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხზე მომხდარი შეთანხმების შემდეგ სამართლიანობის აღდგენის პროცესი აუცილებლად გაგრძელდება. დეპუტატი გუშინ პარლამენტში განვითარებულ მოვლენებს გამარჯვებად მიიჩნევს.

– როგორც არ უნდა შეფუთოთ საკონსტიტუციო ცვლილება, ხალხს მაინც ვერ მოატყუებთ. დღეს გამარჯვების დღეა. ყველამ კარგად იცის – პასუხისმგებლობა სააკაშვილის რეჟიმის დასასრულზე ქართველმა ხალხმა ჩვენ – „ქართულ ოცნებას“ დაგვაკისრა და სწორედ ამ პასუხისმგებლობის გრძნობით ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ უმცირესობას არ ჩაეგდო საკონსტიტუციო ცვლილება. სააკაშვილი ყველანაირად შეეცადა დღეს უმცირესობა უკან, დარბაზშიც არ დაებრუნებინა და საერთოდ ჩაეგდო კენჭისყრა, მაგრამ არ გამოუვიდა. რაც არ უნდა ილაპარაკოს დღეს გამწარებულმა და აწ უკვე უფლებაჩამორთმეულმა, კაიხნის ვადაგასულმა და ისევ ვითომდა ჟრიამულა სააკაშვილმა, მე მან დამარწმუნა ერთში – მან საერთოდ ვერ გაიგო რა მოხდა საქართველოში. სააკაშვილის დიქტატურა საქართველოში დამთავრდა და ამას ხმა მისცა არა მხოლოდ უმრავლესობამ და სააკაშვილისგან შეპირებულმა „დანაკლისმა ხმებმა“, არამედ იქ დამსწრე უმცირესობის სრულმა შემადგენლობამ. დიახ, ყველა მიხვდა, რომ მხოლოდ სააკაშვილი რჩებოდა დესტაბილიზაციის ერთადერთ საშიშროებად და ყველამ ისარგებლა ამ მომენტით და ხმა მისცა სააკაშვილის განიარაღებას. ჩვენ მიზანს მივაღწიეთ. უპირველესად, სამართლიანობის აღდგენის პროცესი გაგრძელდება აქტიურად და მთავრობა, უკვე უკანმოუხედავად გააგრძელებს საარჩევნო ვალდებულებების შესრულებას, – განაცხადა კვაჭანტირაძემ.

საკმაოდ უცნაური პოზიცია ჰქონდა უმცირესობის წევრ აკაკი ბობოხიძეს. ის საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოსმენით დამტკიცებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს გამოეხმაურა.

– 2 დღის წინ შეფასება გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა და მინდა ვთქვა, რომ მიმაჩნია, აქცენტები სწორად არ იყო დასმული. გუშინ ნაციონალურ მოძრაობას არ გაუმარჯვია. გუშინ საქართველოს მოსახლეობამ გაიმარჯვა. სამწუხაროდ, დღეს იგივე გააგრძელა ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც თქვა, რომ ჩვენ ეს ასი ხმა მაინც გვქონდა და ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა სულ არ გვჭირდებოდაო. მინდა მივმართო დავით საგანელიძეს, გუშინ 130 ხმა იმიტომ კი არ იყო დაფიქსირებული, რომ ბიძინას უნდოდა ასე და ფიქრობდა ასე, არამედ იყო იმიტომ, რომ ამ დარბაზში ვსხედვართ ქვეყნის ბედ-იღბალზე მოფიქრალი მინიმუმ 130 ადამიანი. ამიტომ ვთხოვ ჩემს უმცირესობას, ჩემს მეგობრებს, ჩვენ დაველაპარაკებით ჩვენს ლიდერს, მაგრამ გთხოვთ ასევე თქვენც, საკითხი ჯერ არ გასულა, საკითხის გასვლას მინიმუმ მესამეჯერ კენჭისყრა სჭირდება, თუ მაინცდამაინც კონკრეტულად ვინმეს აინტერესებს, რომ ჩემს გარეშე, ჩვენს გარეშე, რომ ჩემი გადაწყვეტილების და ჩემი ნების გარეშე ექნება თუ არა 130 ხმა, გარწმუნებთ, რომ არ ექნება. მე ჩემს თავსაც მოვუწოდებ, აღარ მაინტერესებს, რას ლაპარაკობს ბიძინა ივანიშვილი, აღარ მაინტერესებს, რას იტყვის მიხეილ სააკაშვილი, რადგან ვთვლი, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოს სჭირდება. როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილებას პარლამენტი მიიღებს, მაგრამ როგორც ჩანს, ჩემი შედარება მეორე კლასის იგავ-არაკთან კვლავ ძალაში რჩება. ყველას მოვუწოდებ – ბატონებო, გვაცადეთ მუშაობა, გვაცადეთ იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც საქართველოს სჭირდება და რომელსაც პარლამენტი მიიღებს, დაანებეთ ჭკუის სწავლებას და იმის მცდელობას, თუ ვისმა მკლავმა გადასწია ერთი თუ მეორე ხელი, – განაცხადა აკაკი ბობოხიძემ.

კვირის და გნებავთ თვის მოვლენას ბიძინა ივანიშვილიც გამოეხმაურა. პრემიერმა აღიარა, რომ სარეიტინგო კენჭისყრას დავით უსუფაშვილი მისი რჩევით დათანხმდა. მისი თქმით, იგი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებამდე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს ტელეფონზე ესაუბრა.

– უსუფაშვილს შესვენებაზე ვურჩიე, რომ სარეიტინგო კენჭისყრისთვის მხარი დაეჭირა. თუმცა უსუფაშვილს ამის სურვილი არ ჰქონდა. კარგად იგრძნობოდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის საჭირო ხმების რაოდენობას ისედაც მივიღებდით, მაგრამ რატომღაც ასე ვამჯობინე. ჯერ პატარა ეჭვი იყო, თან ეს პრინციპულად არაფერს ცვლიდა. როგორც მათ წარმოედგინათ, ამას მხოლოდ უმცირესობისათვის ჰქონდა მნიშვნელობა. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ამ უცნაურობისათვის მიეღწიათ, რაც ჩემთვის დღესაც აუხსნელია, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილის განცხადებით, მან არ იცის, თუ რაში სჭირდებოდა უმცირესობას ღია კარის მტკვრევა.

– ასეთივე ღია კარის მტკვრევაა ბენდუქიძის უნივერსიტეტში, – აღნიშნა პრემიერმა.

ბიძინა ივანიშვილმა გუშინ თავის მთავრობას ის ნონსენსი განუმარტა, რისთვისაც უსუფაშვილთან დარეკა და პოზიცია შეაცვლევინა.

– რა თქმა უნდა, პოლიტიკურად უკეთესი იქნებოდა, არ დამერეკა, მაგრამ ადამიანურად სჯობდა, არავითარი გამონაკლისი არ დაგვეშვა, რადგან დაბალი ალბათობით საკონსტიტუციო ცვლილებების შანსი იყო. მეც და საზოგადოებასაც უკმაყოფილების განცდა დაგვრჩა. თუმცა, არ მინდოდა ნაციონალური მოძრაობა საზოგადოების მიღმა დარჩენილიყო. ჩემი დიდი სურვილი იყო, მათ სწორი გადაწყვეტილება მიეღოთ, რადგან საზოგადოებასა და ნაციონალებს შორის ურთიერთობა დარღვეულია. შედეგად მათ ამ ცვლილებას ხმა მისცეს, მაგრამ უმადურად გამოუვიდათ, მარილი ვერ მოაყარეს, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი თითქმის დარწმუნებულია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილება საზოგადოებამ სიამოვნებით არ მიიღო.

– მათ ლიდერს შეეძლო, „კაცურად გამოსულიყო და გადაწყვეტილება კარგად ჩაეწოდებინა. ის ამით საზოგადოებასთან ჩაბრუნებას მოახერხებდა. შედეგად მან აგრესიული და გაუგებარი განცხადება გააკეთა, რაღაცას იმუქრებოდა... კარგი ცვლილება მივიღეთ, მაგრამ ნაცმოძრაობის წევრებს შეეძლოთ ფრიადი მიეღოთ, მაგრამ გაჭირვებული სამიანი მიიღეს, ისიც საკითხავი, მიიღეს თუ არა, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილი მიიჩნევს, რომ თუ საკონსტიტუციო ცვლილება არ გავიდოდა, ამით არც მთავრობას და არც საზოგადოებას არაფერი ემუქრებოდა – გარდა ზედმეტი ემოციური დატვირთვისა. ეს მოიხსნა.

– ასევე არსებობდა პატარა ხიფათი, რომ ნაციონალური მოძრაობა გადაჩეხილიყო, მაგრამ ეს პატარა ნიუანსიც არ დავუშვი. უსუფაშვილს ვურჩიე, ეს არ დაეშვა. თუ ისინი უფსკრულისკენ ცვივდებოდნენ, ჩვენ პარაშუტები მივეცით და დაეშვნენ. თუმცაღა კარგი იქნებოდა, საზოგადოებისათვის მეტი სითბო მიეწოდებინათ. იმედი მაქვს, ნაციონალური მოძრაობა მომავალში დასკვნებს გამოიტანს და საზოგადოებას მეტ ანგარიშს გაუწევს, – დასძინა ბიძინა ივანიშვილმა.

პარაშუტების თემას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძეც გამოეხმაურა. ის ნაციონალებს ურჩევს, განგებას მადლობა შესწირონ, პარაშუტები რომ გაეხსნათ.

– სწორია, მართლაც პარაშუტი იყო. ძალიან სწორი შეფასება მიუცია. მართალია, ისინი მაღალი სიმაღლიდან გადმოხტნენ და ძალიან დიდი იყო რისკი – არ გახსნილიყო პარაშუტი, მაგრამ პარაშუტი გაიხსნა და მშვიდობიანად დასხდნენ. ამისთვის უნდა უმადლოდნენ ღმერთს და განგებას, – აცხადებს საგანელიძე.

ნაციონალების და მეოცნებეების შეხმატკბილებას სხვადასხვა პოლიტიკოსებიც გამოეხმაურნენ. უმეტესობა ამბობს, რომ ეს შეთანხმება ქვეყნისთვის ცუდად დასრულდება.

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელი პირების მიმართ საზოგადოებაში არსებული ყველა კითხვა აუცილებლად უნდა დაისვას და ყველა მათგანს პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს.

– სწორედ დღეს, მსოფლიო მედიაში ერთი ძალიან საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. კონკრეტულად კი, კლასიკური კოჰაბიტაციის ქვეყანაში – საფრანგეთში, მათ ყოფილ პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის ბრალი წაუყენეს. საინტერესოა, შეიძლება თუ არა აღვიქვათ ეს როგორც პოლიტიკური დევნა, როგორც ეს „ქართული სტანდარტებითაა“ მიღებული. ამიტომ ყველა კითხვას პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს, – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

ნანა კაკაბაძე: „სამართლიანობა ხალხმა უნდა აღადგინოს“

ნონა ცაბაძე

გასული სამი თვის მთავარი თემა, საკონსტიტუციო ცვლილებები, გუშინ პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, თუმცა ამ საკითხს წინ სამთვიანი განხილვის პროცესი უსწრებდა. საკითხი საზოგადოების მაღალი ინტერესის ქვეშ იყო მოქცეული. ჯენჭისყრის მოღოდინში ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა ჰამდენიმე საათი ტელევიზორებთან გაატარა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, იმდენად აზარტული სიტუაცია შეიქმნა, რომ ზოგი იმასაც ფიქრობდა, ტოტალიზატორში რეიტინგულ ჯენჭისყრაზე ფსონი ხომ არ დაედო.

მეოცნებეებისრიტორიკითთუ ვიმსჯელებდით, ისინი პრინციპულად არ აპირებდნენ, დაეთმოთ და რეიტინგულ კენჭისყრას დასთანხმებოდნენ. რამდენიმესაათიანი დებატებისა და გულზე მჯიღის ცემის შემდეგ კი ქართველი საზოგადოება სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილების მომსწრე გახდა... უმრავლესობა სარეიტინგო კენჭისყრას დასთანხმდა. სარეიტინგო კენჭისყრის შემდეგ საკითხი პარლამენტმა ერთხმად მიიღო.

უმრავლესობის ამ გადაწყვეტილების შემდეგ საზოგადოების აზრი ორად გაიყო. აქტიურობა განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში შეინიშნება. ნაწილი იმედგაცრუებულია ქართული ოცნების ამ გადაწყვეტილებით, ნაწილი კი ამართლებს მათ საქციელს. ზოგიერთი ექსპერტი იმასაც ფიქრობს, რომ ოცნების რეიტინგი საგრძნობლად დაეცემა, რომ უმრავლესობამ ეს გადაწყვეტილება დასავლეთის საამებლად მიიღო. მეოცნებეებს სარეიტინგო კენჭისყრა ძალიან ძვირად დაუჯდებაო. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კენჭისყრამდე პარლამენტში ამერიკის ელჩიც იმყოფებოდა, რომელმაც ალბათ კიდევ ერთხელ მოუწოდა პარლამენტარებს თანაცხოვრებისაკენ. მოკლედ, ასეა თუ ისე, ქართველი საზოგადოების ნაწილი ამ გადაწყვეტილებით იმედგაცრუებული დარჩა.

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძეს ესაუბრა, რომელსაც მიაჩნია, რომ გუშინ საპარლამენტო უმრავლესობამ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. უფლებათადამცველი მიიჩნევს, რომ ეს საკუთარი საზოგადოების უპატივცემულობა იყო, რადგან ხალხი მათგან ამას არ მოელოდა. მის თქმით, ქართველ ხალხს, საზოგადოებას სჭირდება, დაინახოს საკუთარი ხელისუფლების პრინციპულობა, იმ ხელისუფლებისა, რომელსაც ასე ერთხმად დაუჭირა მხარი. მაშინ რაღა საჭირო იყო ამხელა დებატები და თავის ასე აგდება, თუკი ბოლოს მაინც უნდა დაეჭირათ მხარი? – კითხულობს კაკაბაძე. იგი მიიჩნევს, რომ ამით ქართული ოცნების რეიტინგი აუცილებლად იკლებს, რადგან ხალხი სამართლიანობის აღდგენას ელის და ამათ კი ცირკი გამართეს. კაკაბაძე იმასაც შეახსენებს უმრავლესობას, რომ მათი რეიტინგი 2-3%-ს არასდროს ასცილებია და რომ ისინი პარლამენტში ივანიშვილის დახმარებით მოხვდნენ. საზოგადოებამ მხარი ივანიშვილს დაუჭირა და არა მათ, – მიიჩნევს იგი. კაკაბაძის თქმით, საზოგადოება სამართლიანობის აღდგენის პროცესს ბოლომდე აუცილებლად მიიყვანს და ამაში ივანიშვილის მხარდაჭერის იმედი აქვს.

– ქალბატონო ნანა, გუშინ სრულიად საქართველოს მოსახლეობის ყურადღების ცენტრში ქუთაისის პარლამენტი და იქ მიმდინარე მოვლენები იყო. როგორ აფასებთ თქვენ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობამ მოულოდნელად მიიღო?

– ჩემი აზრით, მსგავსი გადაწყვეტილება არ უნდა მიეღოთ. სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება დიდი შეცდომა იყო. დანარჩენი რაც მოხდა, კარგით, მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო.

– რატომ იყო შეცდომა, გამოვიდა, რომ ნაციონალებს დაუთმეს?

– რა თქმა უნდა. როცა არანაირი საჭიროება ამისი არ არსებობს, რატომ იყო ეს ხელოვნური თამაში საჭირო. თანაარსებობისთვის არის საჭიროო. რომელ თანაარსებობაზეა საუბარი, ჩემთვის გაუგებარია. საზოგადოებასაც ხომ სჭირდება დაინახოს, რომ მისი არჩეული ხელისუფლება არის ძლიერი, პრინციპული, ღირსეული. ვისზეა ეს გათვლილი? ყველაფერი გათვლილი აქვთ იმაზე, თუ რას იტყვის დასავლეთი. საკუთარი ხალხი, საკუთარი საზოგადოებაა, უპირველესად ყოვლისა, პატივსაცემი და მერე ყველა დანარჩენი. ამის აღქმა ხელისუფლებას საქართველოში რატომღაც არა აქვს, არც წინას და არც, როგორც ჩანს, ამას. ესეც იყო გათვლილი იქაურობაზე და არა საქართველოსა და ქართველ მოსახლეობაზე. არჩევნებში კი ხმას აძლევს ქართველი ხალხი და არა ევროპა და ამერიკა, თუნდაც ჩრდილოეთი.

– ქალბატონო ნანა, თქვენ ფიქრობთ, რომ უმრავლესობას საკითხის ჩაგდების შეეშინდა?

– მე არ ვიცი ეს რამდენად იყო შეშინება, მაგრამ რას იტყვის საზღვარგარეთი, რას იტყვიან ისინი, ვისაც ესენი ჭკუას ეკითხებიან. მაშინ ამხელა დებატები რაღა საჭირო იყო, თუკი მაინც უნდა დასთანხმებოდნენ?! რისთვის გადაღალეს ეს ხალხი, რომელიც მოუთმენლად უყურებდა და ელოდა ამ გადაწყვეტილებას. იდებატეს, იდებატეს და ბოლოს დათმეს. თავიდანვე დაეთმოთ მაშინ, რაღა საჭირო იყო ეს ცირკი.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, საბოლოო გადაწყვეტილება მაინც ვინ მიიღო, პრემიერმა?

– არ ვიცი. არა მგონია, ეს გადაწყვეტილება პრემიერს მიეღო. ეს პარლამენტის მიღებული გადაწყვეტილებაა და არა პრემიერის.

– იმ შემთხვევაში, საკითხი რომ ჩავარდნილიყო, რამდენად საფრთხის შემცველი იყო ეს ქვეყნისთვის?

– არანაირ საფრთხეებს არ შექმნიდა ეს ქვეყანაში, აბსოლუტურად არანაირს. დღეს საფრთხეს ქმნის ქართველი ხალხის იგნორირება ხელისუფლების მხრიდან და არა ნაციონალების იგნორირება. სააკაშვილი რომ ბოლომდე გაკოტრებული და წაგებულია, ეს თავადაც მშვენივრად იცის და სწორედ ასეთი ქმედებებით უწევენ მას რეიტინგს პარლამენტარები, ამ თავიანთი ლოიალობით. ისევ ესენი უწევენ რეიტინგს, თორემ სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ბოლომდე გაკოტრებულია. გახედეთ რეგიონებს, ხალხს აგრესია რაზე აქვს? მოგვაშორეთ ნაციონალებიო. მთელი საქართველოს მოსახლეობა ერთადერთ რამეს ითხოვს, ორი ციხე მოვიარე გუშინ, შევხვდი პატიმრებს, ერთადერთი აგრესია, რაც აქვთ, რომ ნაციონალები არიან კიდევ იქ. ამას ნუთუ ვერ უნდა გრძნობდეს პარლამენტი?! დაანახვონ ხალხს თავიანთი ქმედითი ნაბიჯები.

– თქვენ ფიქრობთ, რომ გუშინდელი ქმედებით ნაციონალების რეიტინგმა მოიმატა?

– ვერ ვიტყვი, რომ მოიმატა, მაგრამ ასეთი ქმედებებით ნაციონალები თავიანთ მომხრეებს იმედს უჩენენ, მართალია, ცრუს, მაგრამ იმედს უჩენენ. რატომ უწყობს ამას ხელს პარლამენტი, ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

– რომელიმე კონკრეტული ჯგუფი ხომ არ არის, ვინც ამაზე მუშაობს პარლამენტში?

– არიან კონკრეტული ჯგუფები. დიახ, რომლებსაც მეტი შესაძლებლობები აქვთ, რომ გადაწყვეტილებები მიიღონ, ისინი რატომღაც ლოიალურები არიან. ეს კი ძალიან არასწორი ნაბიჯებია.

– აქედან გამომდინარე, რა პროცესებს უნდა ველოდოთ?

– რა პროცესებს და, უპირველესად ყოვლისა, ოცნების რეიტინგის ვარდნას. ეს არ არის სწორი ტაქტიკა. ხომ ყველამ კარგად ვიცით, რა არის ქართველი ხალხის დაკვეთა? და ხელისუფლება როდესაც ამ დაკვეთას არ ასრულებს, ბუნებრივია, მისი რეიტინგი ჩამოვა დაბლა.

– საკმაოდ გაიწელა სამართლიანობის აღდგენის პროცესი.

– დიახ, გაიწელა სამართლიანობის აღდგენის პროცესი და ამიტომ ჩვენ გვინდა, ავაჩქაროთ ეს პროცესი. ამიტომაც ვატარებთ ყრილობას სპორტის სასახლეში 14 აპრილს, 14 საათზე, სწორედ მაგ მოთხოვნით, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს.

– საუბარია, 19 აპრილს შეგნებულად უსწრებს წინ ეს აქციაო.

– ეს ხშირად გვესმის. კარგით, რა, ხალხო, რა ცხრამეტი, რის ცხრამეტი, რა შუაშია ცხრამეტი?! ვის აღელვებს ეს რიცხვი და განსაკუთრებით იმ ადამიანებს, ვისი იდეითაც ეს ტარდება. ჩვენ გვაღელვებს ის, რომ ჩვენს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას არ დაადგა საშველი და ის, რომ პროცესი, რომელიც დაიწყო პირველ ოქტომბერს, არ უნდა გაჩერდეს და უნდა დასრულდეს. ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა რაღაც გარკვეულ ეტაპზე, ის, რომ პარლამენტში შეიცვალა უმრავლესობა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ სამართლიანობა ქვეყანაში აღდგეს და ქვეყანა იყოს ისეთი, როგორსაც ქართველი ხალხი ხმას აძლევს. ეს პროცესი კი არის შენელებული და შენელებულია ხელისუფლების სწორედ ასეთი არაადეკვატური ნაბიჯებით. ვინც ამ ყველაფერს ბლოკავს და ამ პროცესს აფერხებს, ჩვენ გვინდა, რომ ეს ყველაფერი გამოაშკარავდეს და დაინახოს საზოგადოებამ. არჩევნებში გაიმარჯვა ქართველმა ხალხმა და ბიძინა ივანიშვილმა. სხვა არც ერთ სუბიექტს იქ გამარჯვება არ მოუპოვებია. ეს არის ტყუილი! ისინი იყვნენ ფასადი მხოლოდ და მხოლოდ ამ პროცესისა. არაფერი არ იყვნენ, ანტურაჟი იყვნენ მთელი ის პოლიტიკური სპექტრი, რომელიც დღეს ამ გადაწყვეტილებებს იღებს. ეს იყო ქართველი ხალხი და ბიძინა ივანიშვილი და სწორედ ქართველმა ხალხმა და ბიძინა ივანიშვილმა უნდა დაასრულონ სამართლიანობის აღდგენის პროცესი.

– გამოდის, რომ ივანიშვილს ვიღაც-ვიღაცები ხელს უშლიან სამართლიანობის აღდგენის პროცესში?

– რა თქმა უნდა, ხელს უშლიან. აბა, ერთი საქმე მაინც მითხარით გამოძიებული, განაჩენი გამოტანილი და დადებული, რომ, აი, ეს ასე მოხდა და ასე იყო, ზურაბ ჟვანიას მკვლელობით დაწყებული. მითხარით, აბა, ერთი საქმე! შესრულებულია ქართველი ხალხის დაკვეთა? დამანახვოს ვინმემ.

– ქალბატონო ნანა, 14 აპრილი ულტიმატუმი იქნება ახალი ხელისუფლების მიმართ?

– რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიმართ და ამას არანაირი შეხება არა აქვს 19 აპრილთან. ეს რა შუაშია. იმას აწყობს ნაციონალური მოძრაობა. იმას ენჯეოები და პოლიტპატიმრები არ აწყობენ. იმას აწყობს ხელისუფლების ერთი ნაწილი. თუ ხელისუფლების მეორე ნაწილს მოუნდება მსგავსი აქციის გაკეთება, გააკეთოს. ჩვენ ვაკეთებთ აბსოლუტურად სხვა რამეს. ჩვენ ვეუბნებით დღევანდელ ხელისუფლებას, რომ აღადგინოს სამართალი, ის, რაც იყო წინასაარჩევნო დაპირება.

– თქვენი აზრით, რა უშლის ხელს ამ პროცესის დაწყებას, არ არის ნება?

– ვერ გავიგე, რა უშლის ხელს. ის, რომ არ არის ამის შესაძლებლობა, ტყუილია. ის, რომ ნაციონალები ისევ არიან თანამდებობებზე, ეს სიმართლეა. ის, რომ მათი მოშორება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ესეც სიმართლეა. ის ნაციონალები, ვინც დღემდე თანამდებობებზე არიან, აწყობენ საბოტაჟს, პროკურატურაში იქნება, შინაგან საქმეთა სამინისტროში თუ სასამართლოში. რატომ მიდის ამათი ხელის დაფარება, ამათი ხელშეწყობა და ამ მოფამფალებული, ჩამონგრეულ-ჩამოშლილი სისტემის ხელშეწყობა, მე ეს ვერ გავიგე. როდესაც ასეთი არაადეკვატური ხელშეწყობა ხდება, იფიქრებ, რომ ვიღაცა მათ რეაბილიტაციას ცდილობს. თუნდაც გუშინდელი გადაწყვეტილება რა იყო, ხომ? ვინმემ ამიხსნას იმის აზრი, შინაარსი, რაც გუშინ პარლამენტმა გააკეთა. ოთხი საათი ილაპარაკეს, ხალხი ოთხი საათი მიჯაჭვული ტელევიზორებთან, რომ, აი, რა მოხდება. რა მოხდება და მოხდა ის, რაც პირველივე წუთებში შეეძლოთ ეთქვათ, ყველანაირი ორთქლის გამოშვების გარეშე. შექმნეს ფონი, რომ ვიბრძვით, აი ეს, აი ის და ბოლოს დაუთმეს. თავიდანვე ეთქვათ, კი ბატონო, გინდათ, გინდათ, ეს ჩვენთვის არაფერს არ ნიშნავს. ამით რისი დემონსტრირება უნდოდათ, რომ წააგეს?! რა იყო იქ წასაგები, რისთვის უნდა წაეგოთ. გავიდოდა, გავიდოდა, არ გავიდოდა და ნუ გავიდოდა. ამით რა, ქვეყანა დაიქცეოდა?

– პრინციპულები უნდა ყოფილიყვნენ?

– რა თქმა უნდა! პრინციპულობაა მთავარი. საფრთხე ავაცილეთ ქვეყანასო. კარგი რა, რა საფრთხეა დღეს გარდაცვლილი ნაციონალური მოძრაობა?! და თუ საფრთხეა, საფრთხეა მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილებების და არა სხვა რაიმეს გამო.

– ნაციონალებს სათქმელი მიეცათ, რომ მცირე ჯგუფით აჯობეს უმრავლესობას.

– უკვე თქვეს. არ უსმინეთ გუშინ სააკაშვილის რიტორიკასა და მის დემაგოგიას? დემაგოგია და ამათმაც მისცეს საშუალება. რატომ მოვითხოვთ, რომ გასამართლდეს რეჟიმი? როგორ გაასამართლეს 25-წლიან პატიმრობას ხომ არ მიუსჯი არა, უბრალოდ, შეფასება უნდა მისცეს პარლამენტმა, ვინ არიან ესენი. როდესაც მიცემული იქნება შეფასება, რომ ესენი არიან დამნაშავე და კრიმინალური რეჟიმი, იმას უკვე ასეთი განცხრომით ლაპარაკის უფლება აღარ ექნება და ამდენს ვეღარ ილაპარაკებს. უნდა მიეცეს შეფასება, რა იყო ეს, მარტო ისე კი არა, სადღაც კულისებში და ინტერვიუებში. ამას უნდა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, როგორი გადაწყვეტილებაც პოლიტპატიმრებზე მიიღეს და ცნეს ეს ადამიანები პოლიტრეპრესირებულებად და პოლიტპატიმრებად. ასე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ნაციონალურ მოძრაობაზეც, ვინ იყო ეს და რა იყო. მიიღებენ თუ არა გადაწყვეტილებას, დამთავრდება ეს კაკაფონია, რომელიც გაშლილი აქვს ამ უმსგავსო ადამიანებს, დამნაშავე კრიმინალებს, პირდაპირი მნიშვნელობით დამნაშავეებს. ისინიც, ვისაც არ ჩაუდენია სისხლის სამართლის დანაშაული ნაციონალური მოძრაობიდან, დამნაშავეები არიან, იმიტომ რომ ამ რეჟიმს ამყარებდნენ, ამ დანაშაულებრივ მმართველობას უჭერდნენ მხარს და ამას ამართლებდნენ მთელი 9 წლის განმავლობაში. მიეცი, რა, ამას შეფასება. რატომ უნდა სჭირდებოდეს ამ ყველაფერს 25 ათასი კაცის შეკრება სპორტის სასახლეში და სადღაც ქუჩებში! მიეცი შეფასება, შე დალოცვილო.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც საზოგადოებამ უნდა იაქტიუროს?

– რა თქმა უნდა. როგორც ყოველთვის, დღესაც ყველაფერი საზოგადოებისა და ხალხის გასაკეთებელია.

ნინო ბურჯანაძე მომავალი კვირიდან მორატორიუმს არღვევს

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე მომავალი კვირიდან მორატორიუმს არღვევს, რომელიც მას თითქმის ბოლო 5 თვის განმავლობაში ჰქონდა გამოცხადებული.

როგორც ნინო ბურჯანაძემ რუსთავში, „დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებისა და მთავარი საბჭოსთვის, IRI-ს ხელშეწყობით გამართულ ტრენინგ-სემინარზე განაცხადა, მომავალი კვირიდან ის საზოგადოებისთვის საინტერესო ბევრ თემაზე ისაუბრებს და ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. მათ შორის იქნება პარტიის მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატის თემა და აგრეთვე პარტიის პოზიცია გუშინ მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

„ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, ჩვენს მოსაზრებას უახლოეს პერიოდში დავაფიქსირებთ. შემდეგ კვირაში თქვენ, პასუხს ყველა კითხვაზე მიიღებთ“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ნიუსპრესი

მსჯავრდებულთა 3.6% ტუბერკულოზითაა დაავადებული

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, ევროკავშირისა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, 24 მარტს, ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღეს აღნიშნავს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 2012 წლის მონაცემებით, ტუბერკულოზით, მსჯავრდებულთა 3.6%-ია დაავადებული, ხოლო წელიწადში 500-600 ახალი შემთხვევა ფიქსირდება.

ტუბერკულოზის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სამინისტრო დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებსაც შეაჯამებს.

ნიუსპრესი

ხადური თავდაცვის სამინისტროს დამატებით თანხებს გამოუყოფს

ნათია ხურცილავა

სამხედრო ბაზებში არსებული მდგომარეობა, ინფრასტრუქტურის გაუმართაობა კვლავ პრობლემად რჩება. ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ამ მიმართულებით გარკვეული თანხა გამოიყოფა, რათა სამხედრო ინფრასტრუქტურა გაიმართოს. წინა ხელისუფლების პირობებში დახარჯული 8 მილიარდი, როგორც ირაკლი ალასანია აცხადებს, გაუგებარია, რა მიმართულებით იხარჯებოდა, რადგან სამხედრო ბაზები სავალალო მდგომარეობაშია.

თავდაცვის ინფრასტრუქტურის შესწავლის მიზნით არსებობდა კომისია, რომელმაც, მინისტრის ინფორმაციით, მუშაობა დაასრულა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, რა დამატებითი თანხა გამოიყოფა თავდაცვის უწყების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ფინანსთა სამინისტროს გადასაწყვეტია.

– თავდაცვის ინფრასტრუქტურის შესწავლის მიზნით შექმნილმა კომისიამ მუშაობა დაასრულა. დასკვნა ფინანსთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრს გავაცანით. აუცილებელია და პრემიერ-მინისტრიც ასე ფიქრობს, რომ უნდა გამოიყოს დამატებითი თანხები, რაც ბიუჯეტით არ არის დათვლილი, რათა ინფრასტრუქტურა მოწესრიგდეს. ყველა სამხედროს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ადგილი, სადაც ღირსეულად ჩაატარებს წვრთნას, ღამით დაიძინებს, ექნება კარგი კვების შესაძლებლობა სუფთა გარემოში. გუშინ ვიყავი ხონის საარტილერიო ბრიგადაში. მიმდინარე კვირის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს დარჩენილი ბაზების მონახულებას ვგეგმავ. ჩვენ წელსვე გავაუმჯობესებთ ინფრასტრუქტურას. აქედან გამომდინარე, თანხებიც ამ მიმართულებით იქნება დახარჯული, – განაცხადა ალასანიამ, თუმცა დასძინა, რომ რა თანხები გამოიყოფა ამისთვის, ეს ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა.

თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებას ათეულობით მილიონი ლარი დასჭირდება.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას იმ განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმადაც, თავდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ფინანსთა სამინისტროს დამატებითი თანხების გამოყოფა ეთხოვა.

– თანხა, რომელსაც ინფრასტრუქტურა ითხოვს, საკმაოდ სოლიდურია. მე ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე ვიყავი. კიდევ ვაპირებ, სხვაგანაც წავიდე. მდგომარეობა საავალალოა. თანხა, რომელიც აქამდე იყო დახარჯული ანუ 8 მილიარდი, გადაყრილია და მხოლოდ ფასადებს მოხმარდა. მნიშვნელოვანი პრობლემებია ჯარისკაცის ყოფა-ცხოვრებასა და მათ სასწავლო პირობებთან დაკავშირებით. ჩვენ ვმუშაობთ ჯარისკაცების პირობებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. კონკრეტული მონაცემების დასახელება გამიჭირდება, რამდენიმე ათეულ მილიონ ლარზეა საუბარი, რომ ბაზა ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს. ცხადია, წელს ეს სრულად ვერ განხორციელდება, – განაცხადა ხადურმა.

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, შესაძლოა, თამბაქოს მოხმარება უფრო შეიზღუდოს.

აღნიშნული განცხადება ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომაზე ჟურნალისტის კითხვაზე – თამბაქოს კონტროლის კომისიის მუშაობა ხომ არ გამოიწვევს მასზე ფასების ზრდას? – საპასუხოდ გააკეთა.

– უპირველესად ყოვლისა, რამდენადაც ვიცი, ამჟამად ეს კომისია მუშაობს იმაზე, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სადაც ისედაც აკრძალულია თამბაქოს მოხმარება, ის კიდევ უფრო შეიზღუდოს. რაც შეეხება სხვა მექანიზმების ამოქმედებას, ამაზე ჯერჯერობით მუშაობა არ მიმდინარეობს, – განაცხადა ხადურმა.

კახა კალაძე: „პარლამენტს წართმეული უფლებები დაუბრუნდა“

ნათია ხურცილავა

მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ახსნა პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები.

როგორც მთავრობის სხდომაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს სარეიტინგო კენჭისყრის გადაწყვეტილების მიღება „ნაცმოძრაობის“ გადარჩენის მიზნით ურჩია. აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინ მინისტრთა კაბინეტმა შეაფასა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მომავალშიც იქნება ბევრი საკითხი, რომელსაც ორპარტიული მხარდაჭერა დასჭირდება. ალასანიამ ასეთი კომენტარი მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოსმენით მიღების თაობაზე გააკეთა.

ირაკლი ალასანიამ პრესას განუცხადა, რომ, მისი ვარაუდით, ასეთი შეთანხმება მოხდებოდა.

– მე თავიდანვე ვივარაუდე, რომ ეს შეთანხმება ორ ძალას შორის შედგებოდა. კარგია, რომ შედეგად მივიღეთ ის, რაც ყველას გვინდოდა, რომ პრეზიდენტს ავტორიტარული ფუნქცია აღარ ექნება და ეს მისასალმებელია. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ მომავალშიც ბევრი საკითხი იქნება, რომელსაც ორპარტიული – უმრავლესობისა და უმცირესობის მხარდაჭერა დასჭირდება, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა უსაფრთხოების საკითხებზე შეთანხმება. ასევე ძალიან გამიხარდა, რომ ორი კვირის წინ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე რეზოლუცია იქნა მიღებული. ასე რომ, ეს არის პოლიტიკური ცხოვრება, – განაცხადა ალასანიამ.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, „საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო თავი“.

სუბარმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოსმენით მიღების თაობაზე პარლამენტის გუშინდელი გადაწყვეტილების კომენტირებისას განაცხადა.

– ყველა იყო შეთანხმებული, რომ ეს იყო დიქტატორული ჩანაწერი კონსტიტუციაში და ვერ შეძლეს გადაებიჯებინათ თავისი წარსულისთვის და ეთქვათ, რომ ის, რაც ქვეყანას სჭირდება, ყოველგვარი დათმობის გარეშე უნდა გაკეთებულიყო. მგონია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალიან სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ კახი კალაძის შეფასებით, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებით პარლამენტს სააკაშვილის მიერ წართმეული უფლება დაუბრუნდა.

– პარლამენტმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება და საბოლოოდ პარლამენტს თავისი უფლებამოსილება დაუბრუნდა. თითოეულ დეპუტატს გაეზარდა უფლებამოსილება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პარლამენტს დაუბრუნდა ის უფლება, რაც სააკაშვილის მიერ 2004 წელს ჰქონდა წართმეული. ის, რაც გუშინ ვნახეთ, მისასალმებელია. – აღნიშნა კახი კალაძემ.

გიორგი მარგველაშვილი: „ბენდუქიძე კანონს დაემორჩილა“

ნათია ხურცილავა

საზღვარგარეთ მცხოვრები მეცნიერებისა და პედაგოგების გარკვეული ჯგუფი განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიმართავს, რომ გაუქმდეს ის უწყება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, აგრარულ უნივერსიტეტს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი ყველას მოუწოდებს, კახა ბენდუქიძის მსგავსად მოახერხონ და კანონის ჩარჩოებში ჩაეტიონ. აღნიშნული განცხადება გიორგი მარგველაშვილმა გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან გააკეთა.

როგორც აღვნიშნეთ, მინისტრი ბენდუქიძის მაგალითის გაზიარებას ურჩევს სხვებსაც. ასე გამოეხმაურა საზღვარგარეთ მცხოვრები მეცნიერებისა და პედაგოგების მიმართვას, რომ გაუქმდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 12 მარტის გადაწყვეტილება აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

– არ ვიცნობ ამ წერილს. მინდა, ყველას მოვუწოდო, ბენდუქიძემ შეძლო, ჩატეულიყო საქართველოს კანონმდებლობაში, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ კანონმდებლობა სწორად აღასრულოს და ყველაფრის გადატანა არ მოხდეს რაღაც უაზრო, პოლიტიკური კი არა, პრანჭიაობის კონტექსტში. მე არ ვიცი, ვინ მომმართა. კარგად წაიკითხონ კანონი და, თუ ბენდუქიძემ რაღაცნაირად შეძლო, კანონს დამორჩილებოდა, იქნებ მათაც მოახერხონ, – განაცხადა მარგველაშვილმა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა აგრარული უნივერსიტეტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით 26 მარტს იმსჯელებს.

აშშ-ს ელჩი და ირაკლი ალასანია ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში გაცილების ცერემონიას დაესწრნენ

ვაზიანის მეოთხე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში გაცილების ცერემონია გაიმართა. გაცილების ცერემონიალზე თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ქართველ სამხედროებს სიტყვით მიმართა და განაცხადა, რომ ისინი საქართველოს ისტორიას ქმნიან. თავდაცვის მინისტრის გარდა, ჯარისკაცები ავღანეთში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა და საქართველოს გაერთიანებული შტაბის უფროსმა ირაკლი ძნელაძემაც გააცილეს.

ირაკლი ალასანიამ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს მშვიდობით დაბრუნება უსურვა და ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მიღებული გამოცდილების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

აშშ-ს ელჩმა კი ქართველ ჯარისკაცებთან შეხვედრაზე ავღანეთში მისი ყოფნის პერიოდი გაიხსენა და დასძინა, რომ მან იცის, რას ნიშნავს ავღანეთის მისიაში მსახური, ამიტომ მათ მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა აქვს. მისი თქმით, ქართველი სამხედროები ამ მისიაში ყოფნით ავღანელ ხალხის კეთილდღეობას ხელს შეუწყობენ.

ავღანეთში შეიარაღებული ძალების მე-3 და მე-4 ქვეითი ბრიგადების 33-ე და 42-ე ბატალიონი გაემგზავრა. ორივე ბატალიონმა 6-თვიანი ინტენსიური მომზადება კრწანისის სასწავლო ცენტრში გაიარა. სწავლებას ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების საექსპედიციო ბრიგადა ხელმძღვანელობდა.

ახალი სამშვიდობო კონტინგენტი ეტაპობრივად ჩაანაცვლებს პირველი და მეორე ქვეითი ბრიგადების მე-12 და 23-ე ბატალიონებს. ქართველი სამშვიდობოები საერთაშორისო მისიას ჰელმანდის პროვინციაში 6 თვის განმავლობაში, ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში შეასრულებენ.

მედიანიუსი

სუბარი პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას არ დაესწრება

ნათია ხურცილავა

მარტის ბოლოს, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგება. პარლამენტი სამივე მოსმენით მიიღებს საკონსტიტუციო ცვლილებებს და სააკაშვილსაც ნებას დართავს, საკანონმდებლო ორგანოში მივიდეს და თავისი მოვალეობა განახორციელოს. ყველა სხვა შემთხვევაში პრეზიდენტი, შეიძლება ითქვას, პარ-

ლამენტს ანგარიშს ფორმალურად აბარებდა, რადგან კონსტიტუციით მთელი ძალაუფლება ხელში ჰქონდა და, შესაბამისად, საპარლამენტო კონტროლიც ფორმალობა იყო.

მთელ ამ პროცესს წინ 8 თებერვალი უძღოდა, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გამართული მუშტი-კრივი და სისხლიანი გარჩევები, რომელიც ევროკავშირმა უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩაგვითვალა.

დაესწრებიან თუ არა პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას მინისტრთა კაბინეტის წევრები, ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

როგორც მინისტრები თავად აცხადებენ, ჯერ გადაწყვეტილი არ აქვთ, დაესწრებიან თუ არა პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიურ გამოსვლას.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური თუ ჩათვლის, რომ უფრო მნიშვნელოვანი საქმე არ ექნება, ამ შემთხვევაში იგი პარლამენტში მივა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი არ აპირებს, პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას დაესწროს.

რაც შეეხება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას, მას ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, მივა თუ არა საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლის მოსასმენად.

– ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ მაქვს, მივალ თუ არა. ვნახავ, როგორი გრაფიკი იქნება და იმის მიხედვით გადავწყვეტ, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი პრეზიდენტის გამოსვლის მოსასმენად პარლამენტში მისვლას ამ ეტაპზე არ გეგმავს.

რაც შეეხება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს კახა კალაძეს, მას ამ დროისთვის ჩამოყალიბებული არ აქვს, ექნება თუ არა კითხვა პრეზიდენტთან და საერთოდ დაესწრება თუ არა პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტში.

– წინასწარ ვერ გეტყვით, მივალ თუ არა პარლამენტში, მაგრამ იყო საუბარი, რომ როცა პარლამენტს დაუბრუნდებოდა ფუნქცია, რომელიც პრეზიდენტისგან წართმეული ჰქონდა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ქვეყნის პირველ პირს მოუსმენდა, თუმცა ამ ეტაპზე მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია, – განაცხადა კალაძემ.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია კი თვლის, რომ თუ მასთან პრეზიდენტის გამოსვლაზე მიწვევა მივა და იგი სხვა რამით დაკავებული არ იქნება, მაშინ წინააღმდეგი არ არის, პარლამენტში მივიდეს.

– თუ მოსაწვევი მოვა, პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას დავესწრები, თუ სხვა რამით არ ვიქნები დაკავებული. წინააღმდეგი არ ვარ, პარლამენტში მივიდე, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკოს თქმით, დღეს მას გაუჭირდება იმის თქმა, მივა თუ არა პარლამენტში პრეზიდენტის მოსმენად, ვინაიდან დრო დაზუსტებული არ არის.

– რა თქმა უნდა, ის პრეზიდენტია და მისი მოსმენა პარლამენტში მნიშვნელოვანია, – განაცხადა სერგეენკომ.

საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებდა, რომ საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტს მხოლოდ მას შემდეგ მოუსმენდა, რაც საკონსტიტუციო ცვლილებები იქნებოდა მიღებული.

ტარიელ ფუტკარაძე: „საქართველო დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრშია“

ინტერვიუ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძესთან

გულიკო ბალაძე

ნაციონალები გამუდმებით ლაპარაკობენ იმაზე, რომ ახალი მთავრობა ევროპისკენ არ მიდის. ამ ფონზე სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმას ვერ მოეწერება ხელი, სანამ საქართველო არ მიუერთდება „ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“, რომლის რატიფიკაციაზეც 1999 წელს საქართველომ აიღო ვალდებულება. პარლამენტის მაშინდელი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ საიკაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ მის გუნდს ამით ქულები ჩაეწერა. ვალდებულება წინდაუხედავად აიღეს, ისე, რომ საზოგადოებაში არ განხილულა. ახლა ახალქალაქის საკრებულოს წევრები მოითხოვენ ამ ქარტიის რატიფიცირებას და შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილების გატარებას. რას წარმოადგენს „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“, რა რისკებთანაა დაკავშირებული და როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო ამ ვითარებაში, ამის თაობაზე გვესაუბრება პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე.

– ბატონო ტარიელ, წარმოიშვა პრობლემა „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ ევროპულ ქარტიასთან“ დაკავშირებით. ქართველი საზოგადოება ამ ქარტიის რატიფიცირებას უნდობლობით ხვდება. თქვენ ამ საკითხს სამი წიგნი მიუძღვენით. გვითხარით, რას წარმოადგენს ეს დოკუმენტი?

– „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“ არის ევროსაბჭოს დოკუმენტი, რომელიც თავისი არსით ძალიან კეთილშობილურია. მისი მიზანია გაქრობის, გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი უმცირესობის ენის დაცვა.

– 1999 წელს ამ ქარტიის რატიფიკაციის ვალდებულებას პირდაპირ საკაშვილის ინტერესებს უკავშირებენ.

– ეს ვალდებულება არანაირად არ უკავშირდება არც საკაშვილის და არც შევარდნაძის ინტერესებს. შევარდნაძის რეჟიმი ანტიქართულ მოვლენად მიმაჩნია, მაგრამ სხვისი ცოდვა არ მინდა, ამას ნამდვილად ვერ დავაბრალებ. ყველა სახელმწიფოს ხელისუფლება, რომელიც ევროსაბჭოში წევრიანდება, იღებს ვალდებულებებს, რომ დაიცავს თავის მოქალაქეთა ეთნიკურ თუ ენობრივ, საარჩევნო თუ რეგიონული თვითმმართველობის უფლებებს; ყველა ევროპულ ქვეყანას აქვს ვალდებულება აღებული, ჯერ ხელი მოაწეროს, შემდეგ კი რატიფიცირება მოუხდინოს „ენათა ქარტიას“. რატიფიცირებას ზოგი აყოვნებს, ზოგი ცდილობს, ალტერნატიული კანონით გააკომპენსიროს ეს ვალდებულება. მაგალითად, ცხრა სახელმწიფომ მხოლოდ ხელი მოაწერა, მაგრამ რატიფიკაცია არ გაუკეთებია (აზერბაიჯანი, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი...); თხუთმეტს კი თავისი პოზიცია საერთოდ არ ჩამოუყალიბებია (საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი, ლიტვა, ესტონეთი, ბელგია, ლატვია, პორტუგალია...).

– ალტერნატიულ დოკუმენტში რას გულისხმობთ?

რამდენადაც მახსოვს, საფრანგეთმა აამოქმედა თავისივე მიღებული კანონი, რომელიც მიზნად ისახავს უმცირესობების ენების დაცვას. სხვათა შორის, 2009 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით გამოქვეყნდა.

– ეთნიკურ უმცირესობას ვინ წარმოადგენს, საერთოდ, ეს თუ არის განმარტებული ქარტიაში?

– ეთნიკური უმცირესობა მოცემული სახელმწიფოს არაძირითადი მოსახლეობაა; არსებობს ისტორიული (ავტოქთონი) ეთნიკური უმცირესობა და არაისტორიული (გვიან დამკვიდრებული) ეთნიკური უმცირესობა; ევროექსპერტები მკაცრად განასხვავებენ მათ; საფრთხის ქვეშ მყოფი ისტორიული უმცირესობის ენობრივ უფლებებს იცავს „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“, ხოლო არაისტორიული უმცირესობის ენობრივ და სხვა სახის უფლებებს – „ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენცია“. ქარტია მკაცრად განსაზღვრავს ტერმინს: „რეგიონული ან უმცირესობის ენა“. ასეთ ენად ითვლება ქვეყნის მოცემულ რეგიონში მცხოვრები იმ ავტოქთონი უმცირესობის ენა, რომელიც არის გაქრობის საფრთხის ქვეშ; ასეთი ენის მფლობელთ აქვთ უფლება, საქმისწარმოება აწარმოონ დედაენაზე, სკოლები, უნივერსიტეტები იქონიონ ამ ენაზე. ქარტიის ავტორების კვალად, არაერთი ექსპერტი დღესაც მკაცრად მიჯნავს ისტორიული და არაისტორიული უმცირესობების ენებს. მე დავასახელებ, მაგალითად, რომერტ დუნბარს. თვალსაჩინოებისთვის ასეთ მაგალითს მოვიყვან – ესპანეთში ძირითადი მოსახლეობაა ესპანელები; იქ ბევრი ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობს, მაგრამ, მაგალითად, ფრანგებსა თუ თურქებს ესპანეთში არ თვლიან ავტოქთონებად, ბასკები კი ნამდვილად არის ისტორიული მოსახლეობა; შესაბამისად, ესპანელების მიერ „ენის ქარტიის“ რატიფიცირებისას გაკეთებულ დანართში შესულია ბასკური ენა, ფრანგული და თურქული კი – არა.

– რაც შეეხება მიგრანტებს – არაისტორიულ მოსახლეობას?

– მოცემულ სახელმწიფოში არაისტორიული მოსახლეობა შეიძლება იყოს რამდენიმე საუკუნის, შეიძლება იყოს რამდენიმე ათეული წლის, შეიძლება იყოს სულ ახალი. დღეს საუბარია, რომ ისტორიული მოსახლეობის ასაკი განისაზღვროს 100, 200, 300 წლით. ეს მოცემული სახელმწიფოს პრეროგატივაა. თუმცა, ფაქტია, რომ „ევროპული ქარტიის“ მამები თავიანთ დოკუმენტში საუბრობენ მხოლოდ აბორიგენი, ავტოქთონი ანუ ძირძველი ისტორიული მოსახლეობის ენების შესახებ.

– თუკი ხელს მოვაწერთ და შემდეგ რატიფიცირებას გავუკეთებთ ევროპულ ქარტიას, რომელი ისტორიული უმცირესობის ენები შევა დანართში, საქართველოში რომელია საფრთხის ქვეშ?

– ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც საშუალო განათლება აქვს, იცის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიული, აბორიგენი მოსახლეობაა ქართველები. ერთი საუკუნის წინ, თუ რამდენიმე საუკუნის წინ საქართველოში კომპაქტურად თუ გაფანტულად დასახლებული ეთნიკური ჯგუფები: ებრაელები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები არ არიან აბორიგენი მოსახლეობა. ამ ჩვენი მომძე ხალხების ენები დამოუკიდებელი სახელმწიფოების ენებია და მათ გაქრობის საფრთხე არ ემუქრებათ. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ მინდა დავაზუსტო, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ენებს იცავს „ჩარჩო კონვენცია“, რომლის რატიფიცირება საქართველომ მოახდინა 2005 წელს და ამ მიმართულებით ნურავინ ამტვრევს ღია კარს.

„ენის ქარტია“ იცავს აბორიგენი ეთნიკური უმცირესობის იმ ენას, რომელიც გაქრობის საფრთხის ქვეშაა. მაგალითად, რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციამდე აფხაზური ენა აფხაზეთის ავტონომიაში სახელმწიფო ენა იყო ქართულთან ერთად. ასე რომ, დაცვის უმაღლესი ხარისხი ჰქონდა. ახლა რა გითხრათ; ოკუპაციის პირობებში აფხაზური მართლაც გაქრობის პირასაა.

– ე.ი. რეგიონში არსებული ყველა ენა არ ითვლება რეგიონულ ენად?

– არა; ვისაც არ ჩაუხედავს ამ ქარტიაში, ჰგონია, რომ რეგიონული ენა არის რეგიონში მოსახლე ადამიანების ენა. ეს არასწორია. სულ მცირე, სამგვარი რეგიონული მეტყველება შეიძლება განვიხილოთ: 1. სახელმწიფო ენის ანუ მოცემული ერის ეროვნული ენის კუთხური სახესხვაობა; 2. არაისტორიული ეთნიკური უმცირესობის ენა; 3. ისტორიული ეთნიკური უმცირესობის ენა; „ენის ქარტია“ მოწოდებულია, დაიცვას მხოლოდ და მხოლოდ მესამე სახეობის ენა. ენის ქარტიის მამების მიერ შექმნილ „განმარტებით მოხსენებაში (31-ე და 32-ე პუნქტები) ხაზგასმით წერია: „ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ ისტორიულ ენებს ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს ენები მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. ქარტიის დებულებები არ ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს“.

– ჩვენს პირობებში, ვინ შედის ამ მესამე კატეგორიაში?

– წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, ძალიან მარტივად და ნათლად შეიძლება დაასაბუთოთ, რომ საქართველო არ არის ვალდებული, რატიფიცირებისას ქარტიის დოკუმენტს დაურთოს რეგიონული თუ უმცირესობის ენების ჩამონათვალი; სხვა შემთხვევაა, თუკი საქართველოს ხელისუფლება კეთილ ჟესტს გააკეთებს გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი რომელიმე მიგრანტი უმცირესობის ენის შესახებ; მაგ. ჩვენ თვალწინ ქრება უდიური და ასირიული, რომელთა მფლობელები საქართველოში დასახლდნენ ბოლო საუკუნეში. მათ მიმართ ვალდებულებას ვერავინ დაგვაკისრებს, მაგრამ კეთილი ჟესტის გამოხატვას არავინ დაგვიშლის. აქვე დავძენ, რომ სანამ საქართველო ოკუპირებულია, საქართველოს ხელისუფლებას თუ, ზოგადად, პოლიტიკურ სპექტრს მსგავსი ჟესტების არც დრო უნდა ჰქონდეს და არც განწყობა. მავანთა ზედმეტი წიოკი უფრო პროვოკაციაა, ვიდრე ვინმეს მიმართ დახმარების სურვილი; არაიშვიათია სხვა „მოტივაციაც“ – გრანტჭამიობა.

– ახლა დიდი აჟიოტაჟია სომხურის შესახებ...

– არა მხოლოდ სომხურის შესახებ; ზოგი პოლიტიკოსი თუ ექსპერტი გვთავაზობს, რეგიონული ენის სტატუსი მიენიჭოს ასევე: აზერბაიჯანულს, რუსულს... ვერავინ დაასაბუთებს, რომ ჩვენი მეზობელი ხალხები: სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები საქართველოში ისეთივე ძირძველი მოსახლეობაა, როგორც ქართველები. ასევე შეუძლებელია, ვინმემ დაასაბუთოს, რომ რუსულს, სომხურსა და აზერბაიჯანულს გაქრობა ემუქრება; მსოფლიოსა თუ საქართველოში. თუკი რომელიმე ენა დგას საფრთხის წინაშე, ეს ქართულია. ცნობილია, რომ დემოგრაფიული დისბალანსისა თუ გენოციდის გამო, საქართველოს ბევრ რეგიონში, ფაქტობრივად, ჩვენს თვალწინ გაქრა ქართული ენა. საქართველოში კარგადაა დაცული სომხურიც და აზერბაიჯანულიც; რომელ ქვეყანაშია ამდენი სომხური თუ აზერბაიჯანული სკოლა პროცენტულად?

– მით უმეტეს, რომ სომხებსა და აზერბაიჯანელებს ჩვენს მოსაზღვრედ თავიანთი სახელმწიფოები აქვთ და ის სახელმწიფოები შესანიშნავად იცავენ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებს.

– დიახ, სომხური, აზერბაიჯანული და რუსული, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში სახელმწიფო ენებია. მათ ნამდვილად არ ემუქრებათ საფრთხე. სამწუხაროდ, ვიღაც ცდილობს, კეთილშობილური დოკუმენტის „ენის ქარტიისა“ და ხალხის გამოყენებით თავისი გეოპოლიტიკური თუ პოლიტიკური ინტერესები განახორციელოს. სომხეთის რესპუბლიკამ რეგიონული ენის სტატუსი მიანიჭა რუსულ ენას. რატომ? რუსული დიასპორა თუკი ცხოვრობს სომხეთში, მის ენობრივ უფლებას დაიცავს „ჩარჩო კონვენცია“; რატომ ჩაითვალა საჭიროდ „ენის ქარტიის“ რატიფიცირების დოკუმენტის დანართში მისი შეტანა? ანდა, რა საფრთხე ემუქრება რუსულს სომხეთში? სამწუხაროდ, მეტწილად, ხდება „ენის ქარტიის“ პოლიტიზება და პოლიტიკური ინტრიგების იარაღად გამოყენება. არაიშვიათად, ეშმაკ პოლიტიკოსთა ხაფანგში ებმებიან ევროექსპერტებიც; რამდენიმესთან მქონდა საუბარი და დისკუსიაც. ისინი ან საკმარის ინფორმაციას არ ფლობენ, ან არგუმენტები მალევე ელევათ. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: მრავალი წელია ევროსაბჭოში ევროპის ენების ქარტიის სამდივნოს ხელმძღვანელია გორბაჩოვის ყოფილი მრჩეველი ალექსი კოჟერიაკოვი.

– მაინც დიდ რისკებთან არის დაკავშირებული ქარტიის რატიფიკაცია.

– ქარტიის რატიფიცირებაში პრობლემას ვერ ვხედავ, თუ გონივრულად გავიაზრებთ მის დებულებებს და სხვათა გავლენის ქვეშ არ მოვექცევით; მაგალითად, რუსეთისა თუ სომხეთის ხელისუფლებები ითხოვენ, მაინცდამაინც „ენის ქარტიის“ მიხედვით მიენიჭოს რეგიონული ენის სტატუსი სომხურს. არადა, სომეხთა ენობრივ უფლებებს იცავს საქართველოს კანონმდებლობაც, ევროპული ჩარჩო კონვენციაც“, გაეროს დეკლარაციას, ლუნდისა და ოსლოს რეკომენდაციები და სხვ. ძალიან გამიკვირდა „ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში 2008 წელს ამერიკის ელჩი ჯონ ტეფტიც რომ ითხოვდა, სომხურისთვის მიგვენიჭებინა რეგიონული ენის სტატუსი. ერთი სიტყვით, ზოგმა საქართველოს ენობრივ-ეთნიკური ისტორია არ იცის, ზოგი კი განგებ აყალბებს. ამ დროს ჩვენ დიდი სიფრთხილეც გვმართებს და ემოციის მართვაც, რომ ახალ შიდა დაპირისპირებაში არ ჩაგვითრიონ.

– სხვა ექსპერტები რას ფიქრობენ?

– ექსპერტის მოტივაციას გააჩნია – მათი ერთი ჯგუფი საქართველოს ხელისუფლებას 18 ენის აღიარებას სთავაზობს, მეორე ჯგუფი კი – 12 ენისას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეგიონული ენა, ფაქტობრივად, მეორე სახელმწიფო ენაა რეგიონში და ზოგ რეგიონში, საერთოდ, არ იციან ქართული ენა – ძირითადი სახელმწიფო ენა, წარმოიდგინეთ, რას მივიღებთ. პატარა საქართველოში 12 ენობრივ ანკლავს, რომლებიც „დიდი ბიძიების“ „დახმარებით“ უახლოეს მომავალში ახალ აფხაზეთად თუ ცხინვალის მხარედ ტრანსფორმირდება ანუ ეს გამოიწვევს საქართველოს დაშლას.

– ვინ არიან ეს „სპეციალისტები“, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ასეთ დივერსიულ იდეას გვთავაზობენ?

– მე არაერთხელ დამიწერია მათ შესახებ; ახლა მთავარია, ყველაფერი გაკეთდეს, რომ ემოცია ჩაცხრეს, პოლიტიკოსთა მცირე ჯგუფის მზაკვრული გეგმები ვერ განხორციელდება ხელისუფლების, პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების გაწონასწორებული ქმედებისა და ქცევის შემთხვევაში, ამიტომ, გვარების დასახელების ნაცვლად, კიდევ ერთხელ ვიტყვი, „ენის ქარტიაში“ საშიში არაფერია. საშიშია მისი ზოგიერთი ინტერპრეტაცია. ერთ-ერთ ჩემს წიგნში ეს ევროპული ქარტია ატომურ ენერგიას შევადარე: ატომური ენერგია ჭკვიანი ადამიანის ხელში იძლევა სინათლეს, შუქს, ხოლო ბოროტი თუ უგნური ადამიანის ხელში არის ატომური ბომბი.

– სამწუხაროდ, ჩვენ ყველაფერი ბომბად გვევლინება.

– ჩვენთან ასე იმიტომ ხდება, რომ ბოლო საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკას უფრო წარმართავენ უცხოელები, რომელთაც თავიანთი გეოპოლიტიკური ინტერესები უფრო აინტერესებთ, ვიდრე საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები. საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთი კონტროლის დამყარების მოსურნენი ყველა ბერკეტს იყენებენ, რომ ჩვენი ერი ენობრივ-ეთნიკურად, ხოლო სახელმწიფო კონფედერაციულ ერთეულებად დაშალონ და კავკასიაში უფრო იოლად იბატონონ.

– ამ ბოლო შემთხვევაში, როდესაც ახალქალაქის საკრებულო შორსმიმავალი მიზნების გათვალისწინებით აყენებს ენების ქარტიის რატიფიკაციის საკითხს, რა გამოსავალი არსებობს?

– ეს საკითხი ძალიან მარტივი მოსაგვარებელია. სხვათა შორის, აზერბაიჯანმა გააკეთა ასე: აზერბაიჯანის ხელისუფლებამ განაცხადა: „ამ ქარტიას პატივს ვცემ, მაგრამ სანამ ჩემი ტერიტორია ოკუპირებულია, რატიფიკაციას არ მოვახდენ“. საქართველოს ტერიტორიის 25% ოკუპირებულია; ამ მიმართულებითაა არსებითი ჩვენი პოლიტიკური სპექტრისა თუ ჩვენი პარტნიორების კონცენტრაცია, მით უმეტეს, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით საქართველო ერთ-ერთი პირნათელი ქვეყანაა, ვინაიდან აქ ყველა ხალხის ენობრივ-ეთნიკური უფლებაა დაცული. ნეტა, იმდენი უფლება ჰქონდეს ქართულს აზერბაიჯანსა და თურქეთში, რამდენიც აქ აქვს აზერბაიჯანულსა თუ თურქულს. ჩვენ თვალწინ ლორეში გაქრა ქართულენოვანი მოსახლეობა, აქ კი თავისუფლად არსებობს სომხური სკოლები, გაზეთები, სომხურენოვანი რადიო და ტელეგადაცემები. რაც მთავარია, ოკუპაციის პირობებში „ენის ქარტიის“ რატიფიკაციის შესახებ ლაპარაკიც კი უნდა შეწყდეს. ევროსაბჭო, ევროკავშირი, გაერო, ნატო, ეუთო თუ მომძე აზერბაიჯანი, სომხეთი უნდა დაგვეხმარონ, რომ მოხდეს საქართველოს დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

– რაღაც მოჯადოებული წრე იქმნება, რასაც საქართველო ვერ აღწევს თავს და მუდმივად გვაქვს პრობლემები.

– ჩვენი ქვეყანა ძალიან დიდ გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრშია. არ გვინდა იმპერიის ქოლგის ქვეშ ყოფნა, დამოუკიდებლობაც არ გამოგვდის. 3 ათასი წელი ასეთ ომში ვართ. მაინც დღემდე მოვიტანეთ სახელმწიფოებრიობაც, დედაენაც, რწმენაც; ტერიტორიის დიდი ნაწილი დავკარგეთ, მაგრამ ქართველობამ შევინარჩუნეთ ენობრივ-ეთნიკური ერთიანობა, ქართული ფასეულობანი და ეროვნული ღირსება. იმედია, ახლაც გავალთ ფონს, თუკი არ დავუშვებთ საბედისწერო შეცდომას.

– რას გულისხმობთ?

– არ უნდა მივცეთ საფუძველი ვიღაცას, ჩვენი ქვეყანა დაშალოს კონფედერაციულ ან ფედერაციულ ერთეულებად. ასეთი კონგლომერატი მალევე სამუდამოდ დაიშლება. დღეს ყველაფერი იქით მიდის, რომ საქართველოს შესთავაზონ კონფედერაციული წყობა, რაც იქნება საქართველოს დაშლის გაფორმება.

– დღეს ეს საკითხი განიხილება?

– „რეგიონულ ენებზე“ ასე გადაჭარბებული საუბრები სწორედ აქეთკენ მიდის;

– ქარტიის დოკუმენტში თუა მითითებული ისტორიული მოსახლეობის ასაკი ანუ რომელ საუკუნეში დასახლებული მოსახლეობა ითვლება ისტორიულ მოსახლეობად?

– ქარტიის დოკუმენტში მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს; აქ საუბარია ავტოქთონებზე; ყოველ შემთხვევაში, დაუშვებელია, რომ ბოლო 200 წელიწადში – რუსული ოკუპაციის პირობებში – საქართველოში კომპაქტურად დასახლებული არაქართველები ვინმემ მიიჩნიოს საქართველოს ისტორიულ მოსახლეობად.

„ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ — სპექტაკლი, რომელიც პატრიარქმა დალოცა

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა თებერვალში საკმაოდ ოригინალური სპექტაკლი დადგა – „ბალადა ვეფხისა და მოყმისა", თუმცა წარმოდგენას მისი შემქმნელები სპექტაკლად არ მიიჩნევენ და ამბობენ, რომ ეს დედების ოდა-სადიდებელია.

სპექტაკლი თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრმა, თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა და ააიპ „ვან გოგორმა“ განახორციელა. ოდა – „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ დადგა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელიცაა, არაფერი დაუშურებია იმისთვის, რომ სპექტაკლი მაქსიმალურად კარგი გამოსულიყო. იდეის ავტორი და მხატვარია ზურაბ გოგორიკიძე, პროექტის აღმასრულებელი პროდიუსერი – ანდრო კლებანსკი, ქორეოგრაფები – ვეკა პირმისაშვილი და ნათია მეტრეველი, კოსტიუმების შემქმნელი – ხანა ანდრიაძე, ტექნიკური რეჟისორი – ხათუნა ჯამათაშვილი, პროექტის კონსულტანტები – ფოლკლორისტები ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე, ხოლო მუსიკალური გაფორმება გიორგი სიხარულიძესა და ანი მურღულიას ეკუთვნით. სპექტაკლში მონაწილეობენ მზია არაბული, გუგა კახიანი, ანა მატუაშვილი, გაგი შენგელია, ვეკა პირმისაშვილი, ნათია მეტრეველი, ნანუკა კუპატაძე, ნინო იაშვილი, ანა-მარია გურგენიშვილი, სალომე დიდიძე, სალომე ცუხიშვილი და გვანცა ენუქიძე.

„ახალი თაობა“ სპექტაკლის რეჟისორ გიორგი სიხარულიძეს, იდეის ავტორსა და მხატვარს ზურაბ გოგორიკიძესა და მსახიობს მზია არაბულს ესაუბრა. მათი თქმით, მთავარი დღეს იმის კარგად გახსენებაა, ვისი გორისანი ვართ, რისი მატარებლები ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ.

კიდევ აპირებენ თუ არა ამ ხაზით სპექტაკლების დადგმას და რა სიახლეებს შესთავაზებს შემოქმედებითი ჯგუფი მომავალში თეატრის მოყვარულ მაყურებელს, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

– საქართველოში მიჩნეულია, რომ არსებობს ნაწარმოებები, რომლებსაც ხელი არ უნდა ახლო, არც სცენაზე გადაიტანო და არც კინოში. ასეთებად მიჩნეულია თუნდაც „ვეფხისტყაოსანი“, „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“. თქვენ როგორ გარისკეთ ამ ბალადის სცენაზე გაცოცხლება?

მზია არაბული:

– მრავალი წელია, რაც ეს იდეა მაწვალებს. როცა რამე იდეა მომდის თავში, პირველად ყოველთვის ვეუბნები ყველაზე ახლობელ ადამიანს და თანამოაზრეს. ასე მოხდა ამ ბალადის შემთხვევაშიც, როცა ეს იდეა გამიჩნდა, მივედი ზურასთან და ვუმღერე. პირველი ვარიანტი მქონდა, რომ ეს ბალადა მემღერა. თავიდან ასეთი სურვილი იყო, მერე ეს აიტაცა ზურამ, ძალიან ბევრი გზა გაიარა ამ პროექტმა იდეის დონეზე. სულ ვფიქრობდით, ვის გაეკეთებინა და როგორ. ბევრი კუთხით ვცადეთ ამ ბალადის სცენაზე გაცოცხლება. ერთი პერიოდი ვფიქრობდი, მარტო მე ხომ არ წამეკითხა თავიდან ბოლომდე ეს ბალადა, თან ქართველ მოცეკვაეებთან ერთად ვმდგარიყავი სცენაზე. მინდოდა, სუხიშვილებთან ერთად მემუშავა, მერე პანტომიმის თეატრთან ერთად მინდოდა და გამეკეთებინა, მერე ხან ერთი რეჟისორი მინდოდა, ხან მეორე. იყო პერიოდი, როცა დავიწყეთ, მერე გავჩერდით, ფინანსებზეც იყო დამოკიდებული ეს ყველაფერი, ამიტომ იწელებოდა და ალბათ კანონზომიერიც იყო, რადგან ამ ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება. როცა უკვე მე და ზურა ანთებული ვიყავით, როგორ გადაგვეტანა სცენაზე ეს ბალადა, შემთხვევით ზურასთან სახლში მოვიდა გიორგი სიხარულიძე. სულ სხვა რამეზე მოვიდა, არც კი იცოდა, რომ ჩვენ ამ ბალადაზე ვფიქრობდით. რა ხდებაო, იკითხა და რომ ვუთხარით, უცებ ვიყვირე, ვაიმე, გიორგი, ეს, მგონი, შენი თემაა და სპექტაკლიც შენ უნდა დადგა-მეთქი. გიორგიმაც მხარი აგვიბა, მაგრამ ეს ყველაფერი დარჩა ლაპარაკის დონეზე. ინტუიციურად ვგრძნობდი, რომ ამ ადამიანის გასაკეთებელი იყო ეს სპექტაკლი. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ სხვა რეჟისორებს შეურაცხყოფას ვაყენებ ან ვაკნინებ, უბრალოდ, არის თემები, რომელსაც კონკრეტული რეჟისორი სჭირდება. ეს ბალადა ნამდვილად გიორგი სიხარულიძეს უნდა დაედგა.

– თქვენ არ გაგიჭირდათ ამხელა პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე?

– მეგონა და დღესაც მგონია, რომ ჩემზე უკეთესად ამას ვერავინ მოიტანდა.

– ძალიან ამბიციური ხომ არ არის თქვენი განცხადება?

– კი ბატონო, დავარქვათ ამას ამბიცია, მაგრამ ამის გარეშე ასეთ რამეს ვერ გაბედავ. ჩვენთვის რომ ეთქვათ, კარგი სპექტაკლი და კარგი წარმოდგენაო, ნამდვილად არ დაგვაკმაყოფილებდა. ჩვენ სულ ვამბობდით, რომ ამ სპექტაკლის დადგმით უნდა მოხდეს გადატრიალება, რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ დაიდგმება, უნდა იყოს შოკისმომგვრელი, სულ სხვა საფეხური უნდა ყოფილიყო ქართულ თეატრალურ სივრცეში.

– რეჟისორი ადვილად დაითანხმეთ?

– მოგეხსენებათ, გიორგი ქუთაისის მესხიშვილის თეატრის ხელმძღვანელია, ამიტომ მასაც თავისი საქმე ჰქონდა. რაღაც პერიოდით ამის დადგმა გაიწელა. მერე კი მოხდა სასწაული: ანდრო კლებანსკიმ და ზურამ გააკეთეს პროექტი და შეიტანეს მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში. დიდი წარმატების იმედი არ გვქონდა, ყოველი შემთხვევისთვის, შევიტანეთ ჩვენი პროექტი მერიაში, რადგან მონოსპექტაკლის „რამ შემქმნა ადამიანად“ პროექტი მე და ქეთი დოლიძემ რომ წარვადგინეთ, გვითხრეს, რა დროს ვაჟა არისო, როცა სულ მხოლოდ 5000 სჭირდებოდა.

ზურა გოგორიკიძე:

– ნეკას ვესაუბრეთ და თავისივე ინიციატივით გვითხრა, შემოიტანეთ სასწრაფოდ პროექტი, ძალიან კარგი ჩანაფიქრიაო.

მზია:

– თუმცა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომისიის გადაწყვეტილებას. კომისიაში კი შედიოდნენ მანანა გეგეჭკორი, ნიკა წულუკიძე, დოდო ხურცილავა და ვასო კიკნაძე. ამ ოთხმა თეატრმცოდნემ გადაწყვიტა ამ ბალადის ბედი და თანხმობა გვითხრა. ამის მერე, ფაქტობრივად, ერთ თვეში დავდგით ეს სპექტაკლი.

– ბატონო გიორგი, გაგიჭირდათ ამ ბალადის სცენაზე გადატანა? მას ხომ ქართველმა ხალხმა ძეგლი დაუდგა?

გიორგი სიხარულიძე:

– ამ ერთწლიან მონაკვეთს თავისი გარკვეული მიზეზი ჰქონდა. მოგეხსენებათ, ქუთაისის მესხიშვილის თეატრის ხელმძღვანელი ვარ და ბევრი საქმე მაქვს, ამიტომ ადვილად ვერ ვტოვებდი თეატრს, სადაც ბევრი რამ პირადად ჩემზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, იყო ის ფაქტორიც, რომ როცა ასეთ ხელთუქმნელ ძეგლს ეხები, ასეთ გენიალურ მასალას ეხები, თუ თავიდანვე ფორმის თვალსაზრისით, თამაშის ხერხის გადაწყვეტით, სპექტაკლის გადაწყვეტის თვალსაზრისით საინტერესო ვერსია არ გაქვს, რის გამოც მიგაქვს ეს მასალა მაყურებლამდე, ძალიან რთულია მუშაობა და არასწორიც არის, შეეჭიდო ამ თემას. ერთი წლის განმავლობაში ბევრს ვფიქრობდი, ძალიან ბევრს ვწვალობდი, როგორ და რა ფორმით გადაგვეტანა ეს ბალადა სცენაზე. როცა რეჟისორი სარეპეტიციოში შედის, მსახიობი მისგან ელოდება მითითებებს, თუ როგორ სურს მას სპექტაკლის განხორციელება. სულ ვატარებდი ამ თემას შინაგანად, მაგრამ ყველაზე დიდი ბიძგი მომცა ქალბატონმა მზიამ, როცა მომიყვა ერთი პატარა ისტორია, თუ როგორ დაიტირა გარდაცვლილი შვილი დედამ. ეს ჩემთვის იყო მართლა შოკისმომგვრელი და, როცა აქედან წავედი, მივხვდი, რომ ძალიან ახლოს იყო ეს ყველაფერი იმასთან, რომ სარეპეტიციო პროცესი უნდა დაგვეწყო. ჩვენ ბატონი მიშას მოწაფეები ვართ და ამიტომ დასაწყისში ძალიან ბევრი ვერსიის მიმოხილვა გვიყვარს. ბატონი მიშა გვეტყოდა ხოლმე, სისულელეები ვთქვათ, სისულელეები ვთქვათ და იქ დაიბადება ჭეშმარიტებაო. როცა შევედი სარეპეტიციო დარბაზში, გარკვეული მონახაზი მქონდა, მაგრამ წინასწარ არ ვთქვი, პირიქით, დავყარეთ უამრავი ვერსია და ბოლოს შევჯერდი იმაზე, რომ ეს უნდა ყოფილიყო სპექტაკლიოდა, სადიდებელი, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ბალადაში სწორედ ეს არის – დედა, რომლის საქციელის ანალოგი მსოფლიო ლიტერატურაშიც არ მოიძებნება და არც სადმე ამბად მონაყოლიც კი არ არის შემორჩენილი. ჩვენ ვეცადეთ, რომ ამ დედებისთვის სადიდებელი და ოდა უნდა გვეთქვა, რომელიც რეალურად არის მოტანილი ხალხური ბალადის სახით. ასე დავიწყეთ რეპეტიციები. „ვეფხისტყაოსანი“ ბრძანეთ თქვენ და საწყისი ეტაპისთვის უფრო ადვილია მასზე მუშაობა, რადგან მას სხვადასხვა სიუჟეტები და მიმართულებები აქვს, ბევრი პერსონაჟი ჰყავს, ვიდრე ამ ბალადას, რომელიც ორ წუთში იკითხება. ყველაფერ ამისგან გამომდინარე, ქმედითად მოგვეყოლა ეს ამბავი, აგვეგო მოვლენათა რიგი და გაგვეკეთებინა ქმედითი ანალიზი. ისე მძივივით აეწყო ყველაფერი, რომ ერთ თვეში სპექტაკლი მზად იყო. ყველაზე ძვირფასი და საინტერესო პერიოდი იყო ის ორკვირიანი პერიოდი, როცა მე და ქალბატონი მზია ერთად ვთხზავდით ამას. რეჟისორისთვის სარეპეტიციო პროცესია მთავარი, რადგან პრემიერის შემდეგ სპექტაკლი უკვე მას აღარ ეკუთვნის და მსახიობებისაა. ეს ოდა დაიბადა ძალიან დიდი სიყვარულით, მოწიწებით, ამ ყველაფერმა შეკრა სპექტაკლი და მაყურებელმა იხილა ოდა ვეფხვისა და მოყმისა.

მზია:

– სანამ მაყურებელს ვაჩვენებდით ამ სპექტაკლს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი უახლოესი ადამიანების აზრი. ისეთი მასალა იყო, სიამაყით ვიტყვი, ძალიან მაინტერესებდა, რას იტყოდნენ, პირველ რიგში, ჩემი ბიძაშვილი და ჩემი რძალი – ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე. ამ ფოლკლორისტებს მივანდეთ პირველი შეფასება. როცა დავიწყეთ მუშაობა, ეთერმა გვითხრა, იცოდეთ, ბეწვის ხიდზე უნდა იაროთო. როცა სპექტაკლი ვაჩვენეთ, გვითხრა, ბეწვის ხიდი გავლილიაო. მართლა ძალიან ვინერვიულეთ. პრემიერამდე ეს სპექტაკლი ასევე ვაჩვენეთ არქიდიაკონ დემეტრეს და მამა ლუკას. სპეციალურად მათთვის ვითამაშეთ, მათ გარდა, სპექტაკლს მხოლოდ ქეთი დოლიძე და შოთა გლურჯიძე ესწრებოდნენ. მაშინ მამა დემეტრემ თქვა, შოკში ვარო და ძალიან დიდხანს ვერ მიდიოდნენ, ამბობდნენ და ვერ ამბობდნენ. მამა ლუკამ ზურას სთხოვა, ყოველ სპექტაკლზე ორი ადგილი ჩემთვის იყოსო. ამის შემდეგ უკვე ძალიან მშვიდად ვიყავით. ამ ყველაფერს უკვე მაყურებლის შეფასება დაემატა და სათქმელიც ითქვა. ამდენი წელია, თეატრში ვარ, აქ დავბერდი და ასეთი რამ არ მახსოვს. ჩაბარებას ვეძახდით ხოლმე, როცა შინაურები ესწრებოდნენ სპექტაკლს. ამ დროს მკაცრები ვართ ხოლმე ერთმანეთის შეფასების დროს, რადგან კრიტიკაც არის და მითითებებიც. აქ იყო ის შემთხვევა, როცა დაიკარგა ზღვარი და მთელი თეატრი, მარტო ტიროდა და ქაოსი და ფორიაქი იყო, კარგი გაგებით. საოცრად სიტყვაძუნწია ჩვენი კოლეგა ზაზა მიქაშავიძე და როცა იტირა, იმას დააბრალა, ეტყობა, დავბერდი და იმიტომ ვიტირეო. ძალიან მკაცრი და ძუნწია შეფასებისას ზურა ყიფშიძე, რომელმაც თქვა, ეს ისეთი სპექტაკლია, მოატარეთ მთელი მსოფლიო და გრანპრი ზედ აქვსო. ამაზე დიდი ბედნიერება რა არის, როცა მართლა ეხები განძს და ისეთ სიღრმეებს, რომლისაც მართლა მატარებელი ხარ. ვისაც საერთოდ შეხება არ ჰქონია ამ ბალადასთან, რომ ნახავს სპექტაკლს, აუცილებლად იკითხავს, აქვს თუ არა სახლში, ან უფროსი თაობის მაყურებელი წააკითხებს თავის შვილებს. ეს არის ისეთი განძი, რომლის მატარებელიც ქართველები შინაგანად ვართ, გვინდა თუ არ გვინდა, ეს ჩვენია, ჩვენში დევს, ეს ყველაფერი მერე იღვიძებს და გაინტერესებს, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, სად არის შენი ფესვები, რა ძირი გაქვს, რისი მატარებელი ხარ – ეს ყველაფერი უკვე აღარ გასვენებს. პრემიერას ზურა ვერ ესწრებოდა, ავად იყო. ყველაფერი რომ დამთავრდა, დავურეკე და ვუთხარი, მგონი, მაყურებელმა შოკი მიიღო-მეთქი. ამას სპექტაკლსაც ვერ ვარქმევ, არც სპექტაკლია, არც წარმოდგენა. მსახიობებით დაწყებული, სცენის მუშით დამთავრებული, ყველამ თავდაუზოგავად იმუშავა და შედეგიც სახეზეა. როცა მუშაობ, გუნდს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამ მასალასთან მუშაობისას მარტო კარგი არტისტი არ შეიძლება იყო, რაღაცის მატარებელიც უნდა იყო და ვინც ამ სპექტაკლში მონაწილეობს, ყველა ასეთია. ენატრებათ ხოლმე სპექტაკლი, ერთი სული აქვთ, როდის დაინიშნება.

ზურა:

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამირან არაბულმა იპოვა კიდევ ერთი სტროფი და შეიტანა თავის წიგნში. ეს მონაკვეთი ამ სპექტაკლშიც არის გამოყენებული და ჟღერს სცენაზე. როდესაც გარდაცვლილი მოყმის სული ამბობს ერთ სტროფს, იქ არის ორი-სამი სრულიად გენიალური ფრაზა. მზია ამბობს საოცარ სიტყვებს: „სიკვდილო, შვილი გაგიზარდე, მე სხვა დედებს კი არა ვგავარ“. ეს ფრაზა არის იგივე, რაც არის მთელი ბალადა თავიდან ბოლომდე.

მზია:

– პირველ რიგში, გვინდოდა, არანაირად არ გამდიდრებულიყო ეს ბალადა, ამიტომ მარტო ამ მასალაზე ვართ დაყრდნობილი. უამრავი ხალხური ვერსია არსებობს „ვეფხვსა და მოყმეზე“, მაგრამ ყველაზე შეგნებულად ვთქვით უარი.

ზურა:

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ანგარიში ვისთვისაც უნდა ჩაგვებარებინა, მას ჩავაბარეთ. სანამ სპექტაკლს დავდგამდით, ვიყავით პატრიარქთან და მან ეს პროექტი დალოცა სამებაში. როცა სპექტაკლი დავდგით და დავასრულეთ, მას ისევ ჩავაბარეთ ანგარიში და გავბედეთ, მოგვეწვია. მან იცის, რომ როცა მოისურვებს, ჩვენ სპეციალურად მისთვის ვითამაშებთ ამ სპექტაკლს. ექსკლუზივს გეუბნებით, რომ ამ ამბავს ჩვენ აუცილებლად განვავრცობთ, ეს არ მთავრდება აქ, ამას გავაგრძელებთ და ეს ყოფილიყოს ყველაზე მცირე, რაც ამ ბალადით გავაკეთეთ. ძალიან რთული სამუშაოა, მაგრამ ეს იქნება მნიშვნელოვანი არა მარტო ჩვენთვის, და მაქვს ამის ამბიცია, რადგან გავაკეთეთ ყველამ ერთად, რომ ამ მიმართულებით სვლა გავაგრძელოთ. გენიალური კოსტიუმები გაკეთდა, ყველამ სულით და გულით იმუშავა. ყოველთვის მთავარია, ვინ არის პირველი, სპექტაკლის დადგმის დროს მთავარი ყოველთვის არის რეჟისორი. როცა ოთარ იოსელიანთან ვმუშაობდი, მაშინ მივხვდი, რომ რამდენი ფულიც არ უნდა მოეტანა პროდიუსერს, რომ არ ყოფილიყო ოთარი, არ იქნებოდა ის გენიალური ფილმები, რაც მან გააკეთა. ასე მოხდა გიორგის შემთხვევაშიც, ამ სპექტაკლზე მუშაობისას, ის იყო მთავარი და ლიდერი.

მზია:

– როცა სპექტაკლი კეთდება, სულ არის ხოლმე შენიშვნები, იქნებ ეს დეკორაცია ჯობდეს, ან ასეთი კოსტიუმიო და ეს ნორმალურია, მაგრამ ამ ბალადაზე მუშაობისას არანაირი შენიშვნა არავის არ ჰქონია. სპექტაკლში არის დედაბოძი და ამ დროს მამა დემეტრემ თქვა, ეს ჯვარცმაოო, მერე სხვამაც თქვა, არადა, რეალურად ეს მხოლოდ დედაბოძია და მეტი არაფერი. შესაძლებელი იყო, მარტო ბორბალი ყოფილიყო სცენაზე, მაგრამ მერე ეს იდეა შეიცვალა.

ზურა:

– ყველაზე დიდი პრობლემა ქართველებს ის გვაქვს, რომ როდესაც ადამიანი გიყვარს, ხმამაღლა შეგეძლოს მისთვის ამის თქმა – მე შენ მიყვარხარ! კარგად ვითვალისწინებდით გიორგის მდგომარეობას, პერმანენტულად დავდიოდი ქუთაისში, რომ ყველაფერი ერთად შეგვეჯერებინა.

მზია:

– ჩემთვის ის არის ბედნიერება, რომ ეს ზურას პირველი სპექტაკლია და თანაც ასეთი. მიუხედავად იმისა, რომ სულ ვამბობ ზურა ჩვენი მეჭურჭლეთუხუცესია, მისი საქმე იმ ანდაზასავით არის, ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო. ნამდვილად ასე ჯობდა.

ზურა:

– მედგა ადამიანი გვერდით, რომელიც ძალიან მიყვარს და ვიცოდი, ვისთვის ვაკეთებდი. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ეს სპექტაკლი დაიდგა ბევრი რამის შემდეგ – ამაზე მუშაობა მიდიოდა აგვისტოს ომის პერიოდშიც და მერეც, ეს სულ იყო. მაგრამ მოხდა პრემიერა იმ დროს, როდესაც ყველაზე მთავარია – ახლა და არა მარტო საქართველოსთვის. ეს თემა აქტუალურია რუსეთისთვის, ავღანეთისთვისაც, შერიგება ყველასთვის მნიშვნელოვანია და რა შეუძლია ამ სპექტაკლს, რა ძალა აქვთ დედებს, ძალიან მალე ნახავთ.

– კიდევ აპირებთ მსგავს სპექტაკლებზე მუშაობას?

– ამ სპექტაკლს გაგრძელება აუცილებლად ექნება. ვფიქრობთ, რომ ეს იქნება ტრილოგია, მაგრამ ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

მზია:

– ჩვენი ოცნებაა, მოხდეს აკვნების გაერთიანება. მართალია, ამას სცენაზე ვთამაშობთ, მაგრამ მჯერა, რომ რეალურ ცხოვრებაშიც შევძლებთ აკვნების გაერთიანებას.

ზურა:

– ეს სპექტაკლი კი ვითამაშეთ, მაგრამ არავის უნდა დაავიწყდეს, რომ ერთი და იგივე სპექტაკლი არასოდეს არის ერთნაირი.

მზია:

– ჩვენ არ გვინდა მხოლოდ იმის ძახილი, „დედა, რა კარგია! დედა, რა მაგარია!“ ეს სპექტაკლი არ ემსახურება მარტო ქებას, არ ეკადრება ამ ბალადას, რომ ვითამაშებთ და მივიღებთ შექებას.

ლევან თედიაშვილი 65 წლისაა

როგორც უკვე ვწერდით, სახელოვან ქართველ ფალავანს, ლევან თედიაშვილს, 15 მარტს 65 წელი შეუსრულდა. სტაჟიანი გულშემატკივრებისთვის მისი სახელი კარგად არის ცნობილი და ბევრჯერ აღფრთოვანებულან მისი ჭიდაობით, თუმცა, კიდევ ერთხელ გვინდა, გაგახსენოთ მისი ტიტულები.

სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1971), ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენის, სოკის, ფილას, ღირსების ორდენების კავალერი, 1973 წელს დასახელებული იყო საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენად.

ოლიმპიური თამაშების 2-გზის ჩემპიონი (1972, 1976) ჭიდაობაში, მსოფლიოს 4-გზის (1971, 1973, 1974, 1975) და ევროპის 3-გზის ჩემპიონი (1974, 1976, 1978), ასევე მსოფლიო ჩემპიონი სამბოში (1973).

1987 წელს გამოვიდა რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფილმი „ხარება და გოგია“, რომელშიც მთავარ როლებს ლევან თედიაშვილი და ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძე ასრულებდნენ.

ლევან თედიაშვილზე ბევრი რამის გახსენება შეიძლება, თუმცა, მას განსაკუთრებით სცემდნენ პატივს ირანში, სადაც ჭიდაობა, ტრადიციულად, სპორტის უპირველეს სახეობად არის მიჩნეული, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ გულზე ეხატებოდათ, რადგან იქაურ ფალავნებს მუდამ სისხლს უშრობდა.

1971 წელს თეირანში გაიმართა ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირი შაჰინშაჰის სახელობის პრიზის (იგივე არიამეჰრი), მოსაპოვებლად. ამ ტურნირზე მსოფლიოს მრავალ ცნობილ ფალავანს შორის გამოდიოდა 23 წლის ქართველი მოჭიდავე ლევან თედიაშვილიც, მთავარი პრიზი ღირსეულად მოიპოვა.

ასპარეზობა ღია ცის ქვეშ გაიმართა, ხალხით გაჭედილ ვეებერთელა სტადიონზე. ფალავანთა ჭიდილს ესწრებოდა შაჰინშაჰიც. ირანის მონარქის სიახლოვეს იჯდა მისი საყვარელი, დაუმარცხებელი ფალავანი მოჰამად რეზა ფაჰლავი, რომელთანაც შერკინებამ ლევან თედიაშვილს მოუწია.

ქართველმა ფალავანმა დამაჯერებლად გაიმარჯვა, მსაჯმა მეტოქეებს კვლავ უხმო ხალიჩაზე. ირანელ ფალავანს განმეორებით დამარცხებას სიკვდილი ერჩია და თავგანწირვით იბრძოდა კიდეც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.



შაჰინშაჰი ისე მოიხიბლა ქართველი ფალავნის ოსტატობით, რომ გამარჯვებული თავისთან იხმო და ძვირფასი ბეჭდით დაასაჩუქრა. საქართველოში დაბრუნებულმა გამარჯვებულმა ფალავანმა ეს ბეჭედი თავის საცოლეს, ნანა მჭედლიშვილს მიართვა...

აღსანიშნავია, რომ ამ შერკინების დაწყებამდე ირანელებმა საიდუმლოდ ინახულეს ლევან თედიაშვილი და მას წაგების სანაცვლოდ სოლიდური თანხა. ლევანს ასეთ დროს სხვების გაბითურება უყვარდა. თავდაპირველად 50.000 დოლარზე უარი თქვა და 100.000 მოითხოვა, რაზეც დასთანხმდნენ. ლევანი ამას არ ელოდა და შეჯიბრების დაწყებამდე ტუალეტში იყო ჩაკეტილი, რათა მათ არ გადაყროდა.

ქართველმა ფალავანმა სიმდიდრეს სახელი ამჯობინა და შაჰინშაჰის ფავორიტი ხალიჩას გააკრა.

არიამეჰრის პრიზი თეირანში ლევან თედიაშვილმა, მოგვიანებით კიდევ ორჯერ (1972 და 1977 წლებში) მოიპოვა.

1973 წელს თეირანში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავეებსა და სამბისტთა შორის. თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თედიაშვილმა კვლავინდებურად იასპარეზა და ჩემპიონიც გახდა.

ჩემპიონატზე მოულოდნელად გახდა ავად გენადი რუსლიადევი, საბჭოთა კავშირის სამბისტთა ნაკრების წევრი, რის გამოც გუნდს ნული ქულა ელოდა. რუსი და ქართველი მწვრთნელების გადაწყვეტილებით, ლევან თედიაშვილი სამბისტის ამპლუაში წარუდგა მოწინააღმდეგეს და, ბევრისთვის მოულოდნელად, კიდევ ერთი ოქროს მედალი დაიმსახურა! ეგ კი არა, ხუმრობით ურჩევდნენ ლევანს, კლასიკურ (ბერძნულ-რომაული) ჭიდაობაშიც სცადე ბედიო...

ეს უნიკალური შემთხვევა იყო მსოფლიო სპორტის ისტორიაში, როდესაც ერთი სპორტსმენი ერთდროულად ორ სახეობაში ექვს დღეში გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ლევან თედიაშვილი იმ დღეებში თეირანის სტადიონზე ნამდვილ გმირად იქცა, ირანელები უკრავდნენ ტაშს უძლეველ ქართველ ფალავანს. პატარა ფალავნები კი ერთმანეთს ასწრებდნენ გამარჯვებულთან მისვლასა და კოცნას. ცნობილია, რომ, აღმოსავლური ტრადიციით, თუ პატარა ირანელ ბიჭს მძლეთამძლე მამაკაცი აკოცებს, იგი ასეთივე უძლეველი გაიზრდება...

როგორც უკვე გითხარით, 1977 წელს არიამეჰრის პრიზზე თედიაშვილმა ისევ იმარჯვა. აი, როგორ იხსენებს ამ გამარჯვებას ქართველი ფალავანი.

ლევან თედიაშვილი:

– შეჯიბრება თეირანში ოლიმპიური ცენტრის ახალაშენებულ უნიკალურ სპორტის სასახლეში გაიმართა. ოთხი დღის განმავლობაში ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ფინალურ შეჯიბრებას ირანის შაჰიც დაესწრო. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კი გამარჯვებულებს ჯილდოები მისმა 17 წლის ვაჟმა გადმოგვცა. კენჭისყრამ პირველ წრეში ირანელ ჯაფარისთან შემახვედრა, რომელიც 20 წამში დავამარცხე. შემდეგ შეხვედრებშიც ასევე წმინდა გამარჯვებები მოვიპოვე... ფინალში ირანელ სულეიმანთან მომიხდა ბრძოლა. უნდოდა, შაჰისთვის თავი მოეწონებინა... ცოტა კი გამიჭირდა, მხოლოდ მეოთხე წუთზე გავაკარი ხალიჩას! სულეიმანის დამარცხება, რომელზეც, ჩანს, დიდ იმედებს ამყარებდნენ, ირანელმა გულშემატკივარმა მტკივნეულად განიცადა, მაგრამ ობიექტურობის გრძნობა არ დაუკარგავთ.

საინტერესო ფაქტები ნბა-ს ისტორიიდან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

1951 წელი: პირველ „ოლ სტარში“ აღმოსავლეთმა დასავლეთი 111:94 დაამარცხა.

1954 წელი: მინეაპოლისის „ლეიკერსმა“ ზედიზედ მე-3 ტიტული მოიპოვა.

1954-55 წელი: დადგინდა შეტევისთვის განკუთვნილი დროის ლიმიტი. შემოღებულ იქნა საჯარიმო სროლები გუნდური ჯარიმების ლიმიტის ამოწურვის შემდეგ.

1960 წელი: ფილადელფიაში მოთამაშე უილტ ჩემბერლენმა ერთ თამაშში 55-ჯერ მოხსნა ბურთი და დაამყარა რეკორდი. ჩემბერლენს კარიერაში 23.924 მოხსნა აქვს და ამ მხრივაც რეკორდსმენია.

1962 წელი: უილტ ჩემბერლენი კიდევ ერთი განუმეორებელი რეკორდის ავტორი გახდა. მან „ნიუ იორკს“ 100 ქულა ჩაუგდო.

1962 წელი: ცინცინატელი ოსკარ რობერტსონი გახდა ერთადერთი კალათბურთელი ნბა-ს ისტორიაში, რომელმაც სეზონი საშუალო სამმაგი დუბლით დაასრულა – 30,8 ქულა, 12,5 მოხსნა და 11,4 გადაცემა.

1966 წელი: „ბოსტონმა“ ზედიზედ მერვედ მოიგო ნბა.

1968 წელი: სპრინგფილდში კალათბურთის დიდების დარბაზი გაიხსნა.

1969 წელი: ბილ რასელმა და მისმა ბოსტონმა 13 წლის განმავლობაში მე-11 ტიტული მოიპოვეს.

1970 წელი: ლიგაში გუნდების რიცხვი 17-მდე გაიზარდა.

1972 წელი: „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ „ატლანტა“ 134:90 დაამარცხა და ნბა-ში ზედიზედ 33 მოგებით რეკორდი დაამყარა.

1973 წელი: ელმორ სმიტმა ერთ თამაშში 17-ჯერ დაუფარა მოწინააღმდეგეს. რეკორდი კი ჰაკიმ ოლაჯუონს ეკუთვნის. მან კარიერაში 3.830 „ბლოკ შოტი“ (დაფარება) მოაგროვა.

1974 წელი: ნბა-ს მე-18 გუნდი გახდა „ნიუ ორლეან ჰორნეთსი“.

1976 წელი: ლიგას „დალასი“, „დენვერი“, „ნიუ იორკი“ და „სან ანტონიო“ შეუერთდნენ.

1978-79 წელი: პირველად გამოჩნდა მესამე მსაჯი.

1979-80 წელი: შემოღებულ იქნა სამქულიანის ხაზი. პირველი სამქულიანი ბოსტონის კალათბურთელმა, კრის ფორდმა ჩააგდო.

1983 წელი: დეტროიტი-დენვერი 186:184. ნბა-ს ყველაზე მაღალშედეგიანი მატჩი.

1984 წელი: კარიმ აბდულ-ჯაბარი ლიგის აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა ჩაგდებული ქულების მიხედვით. მთლიანობაში, მის ანგარიშზე სარეკორდო 38.387 ქულაა.

1986 წელი: „სელტიკსმა“ საშინაო 41 შეხვედრიდან 40 მოიგო, რაც დღემდე ნბა-ს გუნდების მიერ შინაურ კედლებში ნაჩვენები საუკეთესო შედეგია.

1987 წელი: „შარლოტი“, „მაიამი“, „მინესოტა“ და „ორლანდო“ ნბა-ს შეუერთდნენ.

1988 წელი: „ატლანტა ჰოუქსმა“ ნბა-ს გუნდებიდან პირველმა ითამაშა საბჭოთა კავშირში. „ქორებმა“ საბჭოეთის ნაკრები 85“84 დაამარცხეს. ეს მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა.

1989 წელი: დეილ ელისმა 73-დან 69 წუთს ითამაშა – „სიეტლისა“ და „მინოუკის“ შეხვედრაში 5 ოვერტაიმი დაინიშნა.

1990 წელი: სკოტ სკაილსმა „დენვერთან“ მატჩში სარეკორდო, 30 შედეგიანი პასი მიითვალა.

1993 წელი: „მინესოტას“ კალათბურთელმა მაიკლ უილიამსმა ზედიზედ 97 საჯარიმო სროლა გამოიყენა.

1995 წელი: იუტელი ჯონ სტოკტონი გახდა რეკორდსმენი შედეგიანი პასების რაოდენობთ – 15.806

1996 წელი: ისევ სტოკტონი. ის არც ჩაჭრებში თმობს პირველობას – 3.265.

1996 წელი: ჩიკაგომ სეზონი სარეკორდო მაჩვენებლით დაასრულა – 72 გამარჯვება და 10 მარცხი.

1996 წელი: შეიქმნა ქალების ლიგა ვნბა.

1997 წელი: ნბა-მ ლიგის ისტორიაში 50 საუკეთესო კალათბურთელის სია გამოაქვეყნა.

2003 წელი: „შარლოტი“ კვლავ უერთდება ნბა-ს 30-ე გუნდად.

2010 წელი: ფილ ჯექსონმა მე-11 საჩემპიონო ბეჭედი მოიპოვა. ლეგენდარულმა მწვრთნელმა 6-ჯერ „ჩიკაგო“, 5-ჯერ კი „ლეიკერსი“ გააჩემპიონა.

2011 წელი: მე-4 „ლოკ აუტი“ ნბა-ს ისტორიაში. კლუბების მფლობელებისა და მოთამაშეების უთანხმოებამ სეზონი 82 თამაშიდან 66-მდე შეამცირა.

2011 წელი: „დალას მავერიკსმა“ ფინალში „მაიამი“ დაამარცხა და ნბა-ს საჩემპიონო ტიტული თავის ისტორიაში პირველად მოიპოვა.

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

ფენომენი

არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც არასდროს ავიწყდებათ. ერთ-ერთი ასეთია ბრაზილიელი რონალდო, რომელმაც თავისი ფენომენალური ნიჭით ყველა გააოცა.

„კიჭა“ დღემდე უდიდეს ფეხბურთელად ითვლება თანამედროვე ფეხბურთის ისტორიაში. ბრაზილიელი ლეგენდა ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს.

ლუის ნაზარიო დე ლიმა რონალდო რიო დე ჟანეიროს ღატაკ ოჯახში დაიბადა. ფეხბურთელს მეგობრები დაბალი სოციალური ფენის გამო არ ჰყავდა. მისი ერთადერთი და განუყოფელი მეგობარი 4 წლის ასაკში მამისგან საჩუქრად მიღებული ტყავის ბურთი იყო, რომელსაც არასდროს იშორებდა. რონალდო მთელ დროს ბურთის თამაშს უთმობდა. ყოველდღიურად საოცარი მონდომებით ვარჯიშობდა – პასებსა და დარტყმებს ამუშავებდა. თავს არ ზოგავდა და მისგან რაკეტასავით სწრაფი, ნებისმიერი ეზოს გუნდისთვის სასურველი ფეხბურთელი დადგა.

პროფესიონალურ ფეხბურთში მისი პირველი ნაბიჯები 1988 წელს ბრაზილიურ კლუბ „ვალკუერეში“ მოხდა. მომავალი ფენომენი მთელი მონდომებით ცდილობდა, საკუთარი ნიჭი ეჩვენებინა ყველასთვის. მისმა მონდომებამ შედეგი მალე ჰპოვა და სრულიად ახალგაზრდა 17-წლამდელებთა ნაკრებში მიიწვიეს. ეს კიდევ არაფერი იყო, რონალდო 1994 წლის მსოფლიო მუნდიალზე წაიყვანეს სათამაშოდ. 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა. აქედან დაიწყო ფენომენის დიდებული კარიერა. მას ჰქონდა ყველაფერი: დარტყმა, პასი, ძალა, საოცარი ტექნიკა – მოკლედ, სრულყოფილება.

ის მალევე გახდა შესამჩნევი და 50.000 დოლარად „კრუზერიოს“ რიგებში გადავიდა სათამაშოდ, სადაც ერთი სეზონი დაჰყო და ევროპული კარიერის ასაწყობად მეორე სეზონიდან „პსვ ეიდჰოვენის“ რიგებში ჩაირიცხა. ეს ფეხბურთელისთვის დიდი ნახტომი იყო. სწორედ ჰოლანდიაში მოხდა დიდებული ფეხბურთელის აღმოჩენა. ის კლუბში გოლების მანქანა გახდა და კარგი თამაშის წყალობით მალევე ესპანური გრანდის „ბარსელონას“ ყურადღების ქვეშაც მოიქცა. რონიმ ჰოლანდიის ერედივიზიონი 30 გატანილი გოლით დატოვა და საუკეთესო ბომბარდირის ტიტულიც მოიპოვა.

„ბარსელონაში“ ახალგაზრდა ფეხბურთელი სასწაულებს ჩადიოდა. ესპანური კარიერის დროს ყველა ამბობდა, ბრაზილიაში ახალი პელე დაიბადაო და ეს სინამდვილეს შეეფერებოდა კიდეც. ის მთელ ენერგიას დებდა ფეხბურთში და უფასდებოდა კიდეც შრომა. „ბარსას“ მაისურით 34 გოლის გატანა მოახერხა და აქაც საუკეთესო ბომბარდირის ტიტულიც დაიმსახურა.

შემდეგი გაჩერება იტალია და მილანის „ინტერია“. მთელი იტალია ხარობდა „დადადოს“ (იტალიაში ერთმანეთს ასე და-ძმა მიმართავს) მათთან ასპარეზობით. ის კი იმედს არ უცრუებდა გულშემატკივარს და თავისი დიდებული თამაშით ყველას გულს უხარებდა. თითქოსდა ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ამქვეყნად სრულყოფილი არაფერია და არც რონალდოსთვის აღმოჩნდა ასე. 1999 წელს რონიმ მარჯვენა მუხლის მყესი გაიწყვიტა და ნახევარი წლით ჩამოშორდა მოედანს. აქედან დაიწყო დიდებული ფეხბურთელის უიღბლო დღეები. ბრაზილიელი დღესა და ღამეს ასწორებდა იმისთვის, რომ მალე დაბრუნებოდა მინდორს. მისი შრომა ამაო არ გამოდგა და შეძლო, „ლაციოს“ წინააღმდეგ მატჩში სასტარტო ყოფილიყო. თამაში 2 წუთის დაწყებული არც იყო, რომ საშინელი ტრაგედია დაატყდა თავს, მას იმავე ფეხზე ახალშეხორცებული მყესი ხელმეორედ გაუწყდა. ეს საშინელება იყო ფეხბურთელისთვის, რომელსაც ფეხბურთის თამაში სწყუროდა.

თითქოს ყველაფერი დასრულდა, რადგან ექიმებმა მას ურჩიეს, თამაშისთვის თავი დაენებებინა. რონის კი ამის გაგონებაც არ სურდა და ძალას არ იშურებდა, რაც შეიძლება, სწრაფად დაბრუნებოდა საყვარელ საქმეს. 1 წელი მუხლჩაუხრელად შრომობდა და სასურველ მიზანს მიაღწია. ის მოედანზე დაბრუნდა. მიუხედავად გადატანილი დიდი ტკივილისა, მაინც შეინარჩუნა საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსი, რისთვისაც „ინტერის“ ფანებმა „ფენომენი“ შეარქვეს. იტალიურ კლუბში მრავალი ჯილდო მოიპოვა, მათ შორის იყო „ოქროს ბუცი“, „ოქროს ბურთი“, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული და სხვა.

2002 წელს „რეალში“ გადასვლით ესპანურ გრანდში დიდი გალაქტიკო შეიკრიბა. მადრიდულ კლუბში ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, როგორებიც არიან: რაული, კარლოსი, ფიგუ, ბექჰემი, ზიდანი და თავად რონალდო. ფენომენის პირველი მადრიდული სეზონი შთამბეჭდავი გამოდგა და მან გააგრძელა 2002 წლის წარმატება. „რეალთან“ ერთად. ბრაზილიელმა ლა ლიგა მოიგო და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბადირი გახდა. მართლაც სასწაულია ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც ექიმებმა მას ფეხბურთის თამაში აუკრძალეს, დაბრუნდა, გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და მუნდიალზე 8 გოლი გაიტანა, დაასახელეს 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად, 2003 წელს კი მეორე ადგილი დაიკავა.

ბრაზილიელმა ფენომენმა ყველა დროის რეკორდი დაამყარა მსოფლიო ჩემპიონატებზე ყველაზე მეტი გატანილი გოლით – 15. ის დღემდე ინარჩუნებს საუკეთესო ბომბარდირის ტიტულს. მან „რეალში“ დიდებული წლები განვლო, მაგრამ მისი საფეხბურთო კარიერა თანდათან უკან იხევდა და საბოლოოდ მაინც მოუწია მადრიდული კლუბის დატოვება.

2007 წელს 7,5 მილიონად „მილანში“ გადავიდა. მიუხედავად ასაკისა, რონალდოს მაინც გაჰქონდა გოლები და ეხმარებოდა მილანურ გრანდს. ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ უიღბლობა მუდმივად თან სდევდა მას და აქაც არ მიუტოვებია. „მილანში“ ფენომენმა მესამედ გაიწყვიტა მყესი. ეს უკვე ფეხბურთელისთვის კარიერის დასასრულს ნიშნავდა.

ასე არ მოხდა, მან განაცხადა, რომ სურდა, კიდევ ერთ მუნდიალზე ეასპარეზა, რათა აქაც დაემყარებინა რეკორდი. ფენომენი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ოცნება აესრულებინა. ის დაუბრუნდა მოედანს, ამჯერად სამშობლოში, მაგრამ ოცნება მაინც ვერ აიხდინა – 2010 წელს მსოფლიოზე ვერ ითამაშა. ეს ბოლო წვეთი იყო, თანაც ფეხბურთელს კიდევ ერთი დაავადება აღმოაჩნდა, რასაც ჭარბი წონაც დაემატა. ამან კი ფეხბურთელს გადაწყვეტილება მიაღებინა – მან საბოლოოდ გადაწყვიტა, ფეხბურთს ჩამოშორებოდა.

– ოთხი წლის წინ, როდესაც „მილანში“ ვიყავი აღმოვაჩინე, რომ დაავადებული ვიყავი ჰიპერტიროიდიზმით, რამაც გამოიწვია შენელებული მეტაბოლიზმი და შედეგად წარმოიშვა ჭარბი წონა. მკურნალობისთვის უნდა მიმეღო ჰორმონები, მაგრამ მე არ შემეძლო ამის გაკეთება, რადგანაც ეს ფეხბურთში დოპინგად ითვლება. ბევრი ჟურნალისტი ხუმრობდა ჩემს წონაზე, მაგრამ არ მწყინს, – ამბობს ბრაზილიელი.

რონალდოს წასვლამ დიდი ფეხბურთიდან ყველას გული დასწყვიტა. ფეხბურთს დიდებული მოთამაშე, ლეგენდარული ფეხბურთელი ჩამოშორდა.

აი, რას ამბობენ მასზე ცნობილი ფეხბურთელები...

რიო ფერდინანდი:

– რონალდო წავიდა ფეხბურთიდან... ერთ-ერთი საუკეთესო მათ შორის, რომლებიც ოდესმე თამაშობდნენ... მხოლოდ ტრავმებმა შეუშალა მას ხელი, გამხდარიყო საუკეთესო.

რონალდინიო:

– ძალიან ვწუხვარ, რომ მან კარიერა დაასრულა. ასეთი ფეხბურთელები საუკუნეში ერთხელ იბადებიან. დავურეკე და ვცადე მისი მხარდაჭერა. ტირილამდე აღარაფერი აკლდა.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი:

– რონალდო არის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი.

კაკა:

– რონალდო, მადლობა ყველაფრისთვის, რაც შენ ფეხბურთისთვის, სპორტისთვის, ბრაზილიისთვის და მილიონობით გულშემატკივრისთვის გააკეთე.

ასე შეაფასეს მოქმედმა ფეხბურთელებმა რონის ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება. მთელი საფეხბურთო სამყარო დიდ მადლობას უხდის რონალდოს, რადგან მან ფეხბურთი სულ სხვა დონზე აიყვანა. ის გამორჩეული მოვლენა იყო. ასეთები ათასში ერთხელ იბადებიან!

ვახტანგ ყოლბაია: „ნაციონალები „დემოკრატიულ მოძრაობას“ აკოტრებდნენ“

თამარ ნინიძე

2011 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში მთელი რიგი ცვლილებები განახორციელა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პარტიების ფინანსური მონიტორინგის საკითხი არ უნდა იყოს კონტროლის პალატის უფლებამოსილება, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სადაც პირდაპირ მითითებულია კონტროლის პალატის უფლებამოსილება და საქმიანობის სფერო. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს კონტროლის პალატა ანუ პალატა ზედამხედველობს მხოლოდ სახელმწიფო სახსრების ხარჯვას მაშინ, როცა სადაო კანონში ძირითადი ყურადღება ეთმობა ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური ორგანიზაციის დაფინანსების საკითხს. „დემოკრატიული მოძრაობა“ აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევს პარტიების დაფინანსების შესახებ კანონის შეცვლას და საგანგებოდ მიმართავს პარლამენტს, რომ მან არსებული კანონი შეცვალოს და სწორად დაარეგულიროს პარტიების დაფინანსების წესები. „ახალი თაობა“ ამ საკითხზე „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრ ვახტანგ ყოლბაიას ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, ნაცმოძრაობამ პოლიტიკური ოპონენტების დაძირვის მიზნით მიიღო ის ცვლილებები, რომელიც დღეს პოლიტიკურ ორგანიზაციებს ყოველგვარ საშუალებას უკარგავს არა მარტო საქმიანობა გააგრძელონ, არამედ იარსებონ. როგორ აფასებთ არსებულ მდგომარეობას და რა ცვლილებების მიღების აუცილებლობას ხედავთ?

– იმისათვის, რომ შეეინღბათ და გაემართლებინათ ის, რასაც ნაცმოძრაობა უპირებდა ოპოზიციურ პარტიებს, კონტროლის პალატას სასწრაფოდ გადაერქვა სახელი და „მთავარი მონიტორინგის სამსახური“ დაერქვა, ამავე დროს გაეზარდა უფლებამოსილება, რითაც ლეგალური გახადეს კონტროლის პალატის საქმიანობისთვის არადამახასიათებელი ყველანაირი ქმედება არასასურველი პარტიების საქმიანობის საგრძნობლად შესაზღუდად. არგუმენტი, რომ ამით პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობა შეუზღუდავი და გამჭვირვალე გახდა, როგორც არა ერთმა ფაქტმა დაადასტურა, აბსურდული აღმოჩნდა. ამ დროიდან ჩართო ნაცმოძრაობამ რეპრესიული მანქანა ოპოზიციის წინააღმდეგ. დაიწყო პოლიტიკური ოპონენტების დევნისა და ტერორის ახალი ეტაპი, მაშინვე მოგვაყენეს დარტყმა, როგორც კი განვაცხადეთ, რომ შესაძლოა მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში და ასევე მოვუწოდეთ ყველა ოპოზიციურ ძალას ერთიანი ფრონტის შექმნის თაობაზე. 2012 წლის მარტში კონტროლის პალატის მიერ განხორციელდა სპეცოპერაცია „სახალხო კრების“ თბილისის ორგანიზაციისა და „დემოკრატიული მოძრაობის“ ბათუმის ხელმძღვანელების მიმართ საქართველოს ორგანული კანონის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ 34\2 მუხლის საფუძველზე ჯარიმის დაწერის თაობაზე. სასამართლოში განხილვამ ჩაიარა მძიმე ზეწოლის პირობებში და კანონის აბსოლუტური დარღვევით. შედეგად დაგვაჯარიმეს 14 ათასი ლარით. ჩვენისთანა მწირი შემოსავლის პარტიისთვის ეს სერიოზული დარტყმა იყო. გაცილებით დიდი ოდენობის თანხით დაჯარიმდნენ სხვა ოპოზიციური პარტიები. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მონიტორინგის სამსახური მიმართავდა ფსიქოლოგიური ზეწოლის, დაშინების და შანტაჟის მეთოდებს. „მხილებულები“ გვიამბობდნენ, რომ ვითარება ინკვიზიციის პერიოდს წაგაგდა, რაც წარმოუდგენელი იყო 21-ე საუკუნისთვის. აბსურდული დაშვებით კანონი ითვალისწინებს, რომ ჯარიმის გადახდის უნარიანი აღარ ხარ, შეიძლება გაგიყიდონ ქონება, დაგიხურონ ანგარიშები. ეს ნიშნავდა გაკოტრებას და იმას, რომ გდევნიან პოლიტიკური ველიდან.

– რა ზომებს მიმართავდით ამ დისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ საბრძოლველად?

– „დემოკრატიული მოძრაობა“ თავიდანვე კრიტიკულად აფასებდა ცვლილებების პროექტს, რომლის პირდაპირი მიზანი განსაკუთრებით საპარლამენტო არჩევნების წინ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების დისკრედიტაცია იყო, რაც არა ერთხელ საჯაროდ განვაცხადეთ, მაგრამ იმუამინდელმა ხელისუფლებამ არც ჩვენი და არც არასამთავრობო სექტორის კრიტიკული შენიშვნები გაითვალისწინა და დღესაც გვაქვს კანონი, რომელიც მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას აჩენს. კერძოდ, ყველაზე თვალშისაცემი საკითხი ეხება შემოწირულობებს.

გარდა ამისა, პარტიას აეკრძალა სესხის და კრედიტის აღება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისგან, რაც თავისთავად ზღუდავს პოლიტიკური პარტიის კანონიერი მიზნების განსახორციელებლად ფინანსური საქმიანობის თავისუფლებას. ერთადერთი გამონაკლისი, რაც კანონმდებელმა დაუშვა, არის საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის კომერციული ბანკიდან კრედიტის აღების შესაძლებლობა, ისიც შეზღუდული რაოდენობით. საერთოდ გაუგებარია რას ემსახურება პარტიასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული იურიდიული პირის ცნების შემოღება და მისი საქმიანობის ასეთი მკაცრი კონტროლი თუ არა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას.

ამასთანავე მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიების მონიტორინგის სამხახურის გაზრდილი უფლებამოსილების საკითხი, რაც აბსოლუტურად ზღუდავს პარტიის კანონით დაშვებულ ფინანსური საქმიანობის თავისუფლებას. გაზრდილი ჯარიმები და სანქციის უპრეცენტენტო ფორმა ყადაღის დადება პარტიის ქონებზე არა თუ მიუღებელი, არამედ აბსურდული და არაკონსტიტუციურია, რადგან ქონების დაყადაღების ექსკლუზიური უფლება ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს, ისიც დასაბუთებული და კანონიერი საფუძვლის არსებობისას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ კანონის ეს ნორმა რომელიც სწორედ 2011 წლის დეკემბრის ცვლილებებით ამოქმედდა, აუცილებლად უნდა გადიხედოს. აღნიშნული კანონის კიდევ უამრავი ნაკლოვანების გარდა, რომლებსაც ჩვენ ვამზადებთ პარლამენტში წარსადგენად, ასევე უნდა ჩაემატოს შენიშვნა შემოწირულობების კონტროლის პალატაში წარდგენასთან დაკავშირებით ის, რომ ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს მინიმუმ ერთ თვემდე და მეორეც, გაუქმდეს ფიზიკური პირების პირადი ანგარიშებიდან გადმორიცხვა პარტიის ანგარიშზე და დაიწეროს რომ შემოწირულობების და საწევროების შემოტანა მოხდეს პირდაპირ პარტიის ანგარიშზე ისე, როგორც ძველად იყო.

– ფაქტია, რომ მოქმედი კანონი შესაცვლელია, კიდევ რა წინადადებებს სთავაზობთ პარლამენტს იმისათვის, რომ მასში ცვლილებები შევიდეს?

– აბსოლუტურად მიუღებელია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის 34ა მუხლის 12-ე პუნქტის ჩანაწერი, რომელიც კონტროლის პალატას ანიჭებს უფლებას ყადაღა დაადოს სუბიექტის საბანკო ანგარიშს და ყადაღა მომენტალურად შედის ძალაში. მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს იგი სასამართლოს ადმინისტრაციული აქტის დასადასტურებლად. ეს რა თქმა უნდა წარმოადგენს მოქალაქის უფლებების უპირობო შეზღუდვას მაშინ, როდესაც იურიდიული სქემის საპირისპირო ვარიანტის არსებობის შემთხვევაში (ჯერ სასამართლოსთვის მიმართვა და შემდეგ დადასტურების შემთხვევაში ყადაღის ამოქმედება) ბევრად უფრო სწორი იქნებოდა. დაუშვებელია ასევე კანონის 34 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების კონტროლის პალატისთვის მინიჭება, რომლის მიხედვითაც კონტროლის პალატას აქვს უფლება პირისგან მოითხოვოს ინფორმაცია მათ მიერ პარტიებისთვის და ამ კანონის 261 მუხლით განსაზღვრული პირებისთვის გადაცემული ან მათგან მიღებული ქონების წარმომავლობის შესახებ. ვინაიდან ეს პირდაპირი იარაღია ამომრჩევლების და პარტიის მხარდამჭერთა დასაშინებლად, რასაც „წარმატებით“ იყენებდა კიდეც ნაცმოძრაობა. ხსენებული მუხლი პრაქტიკულად გამორიცხავს პირის უფლებას ისესხოს ახლობლისგან თანხა და შესწიროს იმ პარტიას, რომლის პოლიტიკურ კურსსაც იგი იზიარებს, ვინაიდან თავისთავად ცხადია ნასესხები თანხის წარმომავლობის დადასტურება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუკი ხსენებული ჩანაწერის მიზანია, რომ არ მოხდეს რომელიმე პირის მიერ მესამე პირის გამოყენება პოლიტიკური პარტიის არაპირდაპირი გზით დასაფინანსებლად, მაშინ, ეს პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კანონში და ხსენებული გარემოების მტკიცების ტვირთი უნდა გააჩნდეს კონტროლის პალატას.

– თქვენს მიერ გამოხატული შენიშვნები და ცვლილებების საჭიროება ზოგადად პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღებისკენ უნდა იყოს მიმართული, ფიქრობთ, რომ სხვა პოლიტიკური პარტიები და პარლამენტი თქვენს ინიციატივას მხარს დაუჭერენ?

– „დემოკრატიული მოძრაობა“ დიდ იმედს გამოთქვამს, რომ მერვე მოწვევის პარლამენტი კონსტრუქციულად მიუდგება საკითხს და საარჩევნო გარემოს ლიბერალიზაციისა და კონკურენტუნარიანი პირობების შესაქმნელად ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, რაც პირველ რიგში კანონმდებლობის ხარვეზების გასწორებასა და დახვეწაში მდგომარეობს. ლოგიკურია, რომ შეზღუდული უნდა იყოს შემოწირულობების ზედა ზღვარი (საუბარია ფიზიკური პირისთვის შემოწირულობის ზედა ზღვარზე – დღეს ის 60 ათასია წელიწადში) და კანონმა მკაცრად უნდა განსაზღვროს ეს ზედა ზღვარი. ხსენებული და კანონსაწინააღმდეგო ყველა სხვა უფლებამოსილება უნდა გადაეცეს სხვა ორგანოს, შესაძლებელია სპეციალურად ხსენებული მონიტორინგის განსახორციელებლად შეიქმნას ახალი დაწესებულებაც, რომელიც აუცილებლად შევა ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში.

„დემოკრატიულ მოძრაობას“ არაერთხელ საჯაროდ მიუმართავს საქართველოს წინა პარლამენტისთვის განცხადებით, გაეთვალისწინებინათ კრიტიკული შენიშვნები, მაგრამ უშედეგოდ. წინა ხელისუფლება მიზანმიმართულად ებრძოდა ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ პარტიებს და ყველა გზას ხმარობდა მათი ნორმალური ფუნქციონირების შესაზღუდად. დღეს მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, რომლის უმრავლესობა თავად იდევნებოდა ნაცმოძრაობის მიერ, და ვთხოვთ მივცეთ ცივილიზებული სახე კანონს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და ამით გადავდგათ ნაბიჯი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისკენ.

ქურთი მეამბოხეების ლიდერი აბდულა ოჯალანი თანამებრძოლებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს

ქურთი მეამბოხეების პატიმრობაში მყოფმა ლიდერმა აბდულა ოჯალანმა თანამებრძოლებს ცეცხლის შეწყვეტისკენ და თურქეთის ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდა. საპატიმროდან გამოგზავნილი წერილი თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ დიარბაქირში ქურთმა დეპუტატმა ათასობით ადამიანის წინაშე წაიკითხა. წერილში ოჯალანი ამბობს, რომ იარაღის გვერდზე გადადების და პოლიტიკის წინ წამოწევის დრო დადგა.

აბდულა ოჯალანი აცხადებს, რომ ახალი ეპოქა მოდის და ამისთვის საჭიროა, რომ ქურთების სამხედრო შენაერთებმა თურქეთის ტერიტორია დატოვონ. ცეცხლის შეწყვეტა, როგორც მოსალოდნელია ქურთებისთვის ავტონომიის მინიჭების და ქურთი პატიმრების გათავისუფლების სანაცვლოდ განხორციელდება.

როგორც თურქული გამოცემები აღნიშნავენ, ეს განცხადება ანკარასა და ქურთებს შორის 28 წლიანი კონფლიქტის დარეგულირების გზაზე მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა გახდეს.

ქურთების მუშათა პარტიამ თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები 1984 წელს დაიწყო. დაპირისპირებას 40 000 ადამიანი ემსხვერპლა. თურქეთი, ევროკავშირი და აშშ ამ პარტიას ტერორისტულ ორგანიზაციად აცხადებენ.

ქურთი სეპარატისტების ლიდერი და ქურთების მუშათა პარტიის დამფუძნებელი აბდულა ოჯალანი 1999 წლის 15 თებერვალს დააკავეს. თურქეთის სასამართლომ ლიდერს სიკვდილი მიუსაჯა, თუმცა თურქეთში სიკვდილით დასჯის მუხლის გაუქმების შემდეგ, ოჯალანს სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეეცვალა.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ოჯალანის დაპატიმრების აღმნიშვნელი საპროტესტო აქციები ძალადობით და პოლიციასთან დაპირისპირებით სრულდება.

ბარაქ ობამამ ისრაელში სამდღიანი ვიზიტი დაასრულა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

„ამერიკა ისრაელს მხარს უჭერს,რადგან ეს უსაფრთხოების სფეროში ჩვენს ფუნდამენტურ ინტერესებს შეესაბამება. ჩვენი კავშირი სამუდამოა“,-აღნიშნა ობამამ.

აშშ-ის პრეზიდენტობის რანგში ისრაელში პირველი ვიზიტით მყოფმა ბარაქ ობამამ, რომელიც პალესტინასაც სტუმრობდა, მხარეებს მშვიდობიანი დიალოგისკენ მოუწოდა. თუმცა, მოლაპარაკებებში ამერიკის ჩართულობაზე მას არაფერი უთქვამს. იერუსალიმიდან ბარაქ ობამა ახლოაღმოსავლეთის ტურნეს იორდანიაში სტუმრობით გააგრძელებს. იორდანიის მეფე აბდულა მეორესთან ობამა სირიაში შექმნილ მდგომარეობას განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ ღაზას სექტორის მებრძოლებმა მშვიდობიანობა დააარღვიეს და ისრაელის სამხრეთ ნაწილისკენ ორი რაკეტა გაუშვეს. ეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტის მეორე დღეს მოხდა. ერთერთი რაკეტა საცხოვრებელ კვარტალში, ქალაქ სდეროტში აფეთქდა, ხოლო მეორე დაუსახლებელ ადგილას ჩამოვარდა. დადასტურებული მონაცემებით, ინციდენტის შედეგად არავინ დაზარალებულა და პასუხისმგებლობაც მომხდარზე არავის აუღია. ამის შესახებ „ასოშეიეიდ პრესი“ იტყობინება.

ისრაელს და პალესტინელ მებრძოლებს შორის შეთანხმება 21 ნოემბერს იქნა მიღწეული. პირველი ის დაახლოებით ერთი თვის წინ „ჰამასმა“ დააღვია, როცა ისრაელის მიმართულებით რამდენიმე რაკეტა იქნა გასროლილი. ისრაელის არმიამ, თავის მხრივ, საპასუხო ცეცხლი გახსნა.

თავის მხრივ, ლიბანურმა დაჯგუფება „ჰეზბოლამ“ ბარაკ ობამას გაკეთებული განცხადება დაგმო. ისრაელში სტუდენტების წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა „ჰეზბოლას“ ტერორისტულ დაჯგუფებათა სიაში შეყვანაზე გააკეთა მოწოდება. როგორც ცნობილია, გასულ წელს ბულგარეთში ისრაელის ტურისტების ავტობუსის აფეთქება ამ დაჯგუფებას ბრალდება. ევროკავშირს ამერიკისა და ისრაელისაგან განსხვავებით, ჰეზბოლა ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში ჯერ შეყვანილი არ ჰყავს.

ობამას თქმით, გასულ წელს ბულგარეთში ხუთი ისრაელელი ტურისტის სიკვდილი, რაშიც ბულგარეთის მთავრობა „ჰეზბოლას“ ადანაშაულებს, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის დამხარება საკმარის მიზეზია იმისათვის, რომ დაჯგუფების ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარება მოხდეს.

ისლამისტური დაჯგუფების განცხადებით, ობამას ეს განცხდება იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკა მხოლოდ ებრაული ქვეყნის სიამოვნებით არის დაინტერესებული.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

ოთხშაბათი 25 მარტი

06.30 დ/ფ „როცა მეცნიერება

სანაპიროს იკვლევს„ 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.35 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„(პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „უხილავი სამყარო„ 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „ხმა წარსულიდან„ 21.00 ტ/სერ „მიმინო„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „კომენტატორი„ 00.00 „საფარი„ 00.30 მხ/ფ „სირიანა„ (ტიტ.) (ჯ. კლუნი)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „ბუდაპეშტი„ 09.00 მხ/ფ „ენდო საკუთარ თავს„ (ა.ბანდერასი) 10.50 მხ/ფ „ყოველთვის თქვით დიახ„ (ჯ.კერი) 12.30 მხ/ფ „ნილაბი„ (ჯ.კერი) 14.10 დ/ფ „სიცოცხლე„ 6 ნაწ. 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 6 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„3 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა(გაგრძელება)10.00სერ.„ილგლინი მოსხლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 კონცერტი: „ვია 75„ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფშათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ფნერალი მოჩვენება„ (ჯ.ბელუში) 00.40 მხ/ფ „პოროტების სავანე: აპოკალიპსი„ (მ. იოვოვიჩი) 02.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა

საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.30 სერ „გმირი„ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „მონასტრის ბინადარნი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დოკ/ფ „ექვთიმე„ 13.30 კონცერტი-ანს.„შვიდაკაცი„ 14.30 დოკ/ფ „ძებრძოლი ეკლესია„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 საეკლესიო „საძარეშვილს უპანასკნელი დღეფაილი„ 17.30 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ივანე კოტორაშვილის ამბავი„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 საქართველოს ისტორია 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საღვთისმსახურო წელინადი 23.40 კვირიაკეს სიუჟეტი „საქართველოს ეკლესიის ისტორია„ მეუფე ანანია 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 დოკ/ფ „ანთიმოზ ივერიელი„ 01.45 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 „ყოველდღიური ამბები„ 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ)

ხუთშაბათი 28 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ანტიკური მსოფლიო„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 17.30 „AGVA - GEORGIA„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „ხმა წარსულიდან„ 21.00 დ/ფ „გრან-პრი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „ჩვენ ერთი გუნდი ვართ„ (მ.მაკკონახი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 8 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 9 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 9 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 6 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ილგლინი მოსხლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.35 რომ გადახვალ, გააჩერე 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფშათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „მისტერ და მისის სმიტები„ (ბ.პიტი) 00.35 მხ/ფ „ამერიკული ცოლი„ (ჯ.ბილი) (ტიტ.) 02.10 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა

საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ „ამირანი„ 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუყურავთ კლასიკას 06.30 ნიამორი 06.50 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 07.15 დოკ/ფ „ირესალიმის ქვა„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 დოკ/ფ „უჯარმის პატარა სახლი„ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დროის ჩანაწერები 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი - ანს. „რუსთავი„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „სულიკო„ 16.50 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მე ვხედავ მზეს„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პირველშეწირული წირვის განმარტება მამა ბიძინა გუნია 23.30 დოკ/ფ „წმინდა ანტონის სავანე„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „პინინიტი„ I ნაწ.

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური ამბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

პარასკევი 29 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ 17.00 დ/ფ „ისტორიის შექმნა/ — ნოსტრადამუსი 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „ხმა წარსულიდან„ 21.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „ღირსების სასამართლო (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 9 ნაწ. 14.00 დ/ფ სიცოცხლე/ 10 (დასკვნითი) ნაწ. 16.00 დ/ფ „უხილავი სამყარო„ I ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 6 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ილგლინი მოსხლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „სახიფშათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 მხ/ფ „ევროტური„ 01.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა

საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მბ/ფ „პინინიტი„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „წმინდა ანტონის სავანე„ 11.00 მოკ/ფ „ბავშვები„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „მე ვხედავ მზეს„ 13.35 კონცერტი - პაკო დე ლუსია 14.50 მართლმადიდებელური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „მეოთხრის მოზაცვება„ 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „დიდი და შვილიშვილები„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.20 შაბათის სახარების განმარტება 22.50 მართლმადიდებელური კატეხიზმი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „აღგილის დედა„ 23.35 დოკ/ფ „მთასაყდარი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „პინინიტი„ II ნაწ.

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 1.20 ყოველდღიური ამბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

შაბათი 30 მარტი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„

08.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბავშვო ან/ფ „ საოცარი მისტერ ბარნანდერი„ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 16.00, 20.00, 01.50 „მოამბე„ 12.30 „AGVA-GEORGIA„ 13.00 ქართ. ტ/ფ „ბელა 14.00 კალათაბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა: „ოლიმპი„ — „რუსთავი„ (პ/რ) 16.30 „ჩემპიონთა ლიგის დღიური„ 17.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 17.30 დ/ფ „რუკების სილამაზე„ 18.00 „ეტალონი„ 19.00 „გურმანია„ 21.00 „ევროვიზიის დღიური„ 21.30 დ/ფ „ფოტო„ 22.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ — ოკუპაცია 23.00 „ახალი ქართული კინო„ 23.30 მხ/ფ „რევერს„ 00.30 მხ/ფ „ცეცხლოვანი კედელი„ (ჰ.ფორდი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„სომხურ„აზერბაიჯანულ„რუსულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 მხ/ფ „ემ ბარ ვლაბარაკობ ინგლისურად„ (ჰეიდეჯო) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — ადაგა ჯონსი 20.00 მხ/ფ „მზის ჩასვლის შემდეგ„ (ს.ჰაეკი) 22.00 ტ/სერ „მდივნები მეექვსე სართულიდან„ 3 სერ. 23.00 მხ/ფ „ბზარი„ (ტიტ.) (ეჰოპკინსი)

07.35 ან/ფ „სალადინი„

08.35 ან/ფ „ჰოულის მოსიარულე სასახლე„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. „ავატარი„ 12.00 ქსერ. „შუა ქალაქში„ 13.00 იუმორინა 14.20 მხ/ფ „მხლოდ შენნირი„ 16.00 სერ. „ქინული„ 3 სერ. 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფშათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქსერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „ბოი „ზის„ სიკვდილი და ცხოვრება„ (პ.უოქერი) 01.45 მხ/ფ„უცხოები„(ლ.ტალილრი)(ტიტ.) 03.10 მუსიკა

08.00 კურიერი დაიჯესტი

08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 სერ. „ლუნი„ (ს2) 10.30 შერეკილები 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ „მაისის თოვლი„ 15.30 სერ. „სიყვარული და საიდუმლო„ 16.30 „ნანუკას შოუ„ - (გ/ჩ) 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაძალები„ 23.00 რა? სად? როდის? 00.00 პოკერის ტურნირი 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 „Latin Angels„ 02.00, 04.30 მხ/ფ კლიპები

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 „ბრძნობიეთ შეეპყრობილნი„ (გ.პელტროლ) 17.10 მხ/ფ „ბის კონგენიალურობა„ (ს.ბალოკი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — ამელია ერჰარტი 20.00 მხ/ფ „მევერიკი„ (ჯ.ფოსტერი) 22.00 ტ/სერ „მდივნები მეექვსე სართულიდან„ 4 სერ. 23.00 მხ/ფ „შეუპოვარი„ (ტიტ.) (ჰ.ფორდი)

07.35 ან/ფ „სალადინი„

08.35 მხ/ფ „ხელმწიფის სახელით„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქსერ. „შუა ქალაქში„ 13.00 იუმორინა (გ/ჩ) 14.20 ქმბ/ფ „სიყვარული ყველას უნდა„ 16.00 სერ. „ქინული„ 2 სერ. 17.15 საქველმოქმედო მარათონი 21.00 გალფის გათამაშება (პ/ე) 21.15 ღამის შოუ 22.00 ქსერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 23.25 MTV-ის ვიდეო კლიპების დაჯილდოების ცერემონია 01.20 მხ/ფ „ბზის ბნელი მხარე„ (ბ.პიტი) (ტიტ.) 03.00 მუსიკა

08.00 კურიერი დაიჯესტი

08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„09.30 სერ. „ლუნი„ 10.30 შინის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.30 ქართ. მხ/ფ „რიკერდი„ 15.30 სერ. „სიყვარული და საიდუმლო„ 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაძალები„ 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 02.00, 04.30 მხ/ფ
კლიპები

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მოტტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „ლომა„ 13.30 ქართული მულტფილმები 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ერთსულოვნების სალონი 16.35 ეპოქის სახელები 17.00 დოკ/ფ „რანდები„ ვაბალავაძე 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ „მოცურავე„ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 21.40 „კვირიაკე„ 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 23.40 დრო და ადამიანები 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ/ფ „რაც ოთარი წავიდა„

მაესტრო 7.00, 23.00, 0.00, 1.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.30, 4.30, 5.30, 6.30 უცხოეთის ამბები 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 13.00 პრეს-პრესი (გამ.) 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 „ჩვენ„ თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ.) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 1.30 დისკუსია - სტუდია „რე„ 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე

ორშაბათი 25 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.35 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ანტიკური მსოფლიო„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 17.30 „AGVA - GEORGIA„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „ხმა წარსულიდან„ 21.00 ტ/სერ „მიმინო„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „კომენტატორი„ 00.00 „საფარი„ 00.30 მხ/ფ „სირიანა„ (ტიტ.) (ჯ. კლუნი)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „ბუდაპეშტი„ 09.00 მხ/ფ „ენდო საკუთარ თავს„ (ა.ბანდერასი) 10.50 მხ/ფ „ყოველთვის თქვით დიახ„ (ჯ.კერი) 12.30 მხ/ფ „ნილაბი„ (ჯ.კერი) 14.10 დ/ფ „სიცოცხლე„ 6 ნაწ. 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 6 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„3 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა(გაგრძელება)10.00სერ.„ილგლინი მოსხლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 დოკ/ფ „გასაქრავებელი კუნძულები - კუნძული„ 16.00 სერ.„დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფშათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „კეი-პაძსი„ (კასპეისი) 00.35 მხ/ფ „უპანასკნელი ლეგიონი„ (ბ. ინგასლი) (ტიტ.) 02.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა

საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.30 სერ „გმირი„ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ირაო 06.50 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 07.15 დოკ/ფ „ანთიმოზ ივერიელი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საქართველოს ისტორია 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „ივანე კოტორაშვილის ამბავი„ 13.20 კონცერტი -ანს.„შვიდაკაცი„ 14.50 მართლმადიდებელური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 კონცერტი-ანსამბლი „ოსეთი„ 16.45 საღვთისმსახურო წელინადი 17.10 დოკ/ფ „ერუსალიმის ქვა„ 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მოკ/ფ „პაპარა მეგობრები„ 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ჩვენი ფონდი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.50 მართლმადიდებელური კატეხიზმი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 23.20 დოკ/ფ „უჯარმის პატარა სახლი„ 23.50 ფოტოგალერეა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.40 ირაო

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური ამბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ- შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

რუსეთ-უკრაინის ბრძოლა გრძელდება

დიმიტრი მედვედევის უკანასკნელმა განცხადებამ ლოგიკურად დაუსვა წერტილი პროცესებს, როლებიც რუსულ-უკრაინულ ურთიერთობებში ვითარდებოდა. თუკი უკრაინა დსთ-ს საბაჟო კავშირში დამკვირვებლის სტატუსით შემოვა, ამით ვერაფერს მიაღწევსო.

– გადაწყვეტილების მიღებაში საბაჟო კავშირის სრულფასოვანი წევრები მონაწილეობენ და არა ისინი, ვისაც დამკვირვებლის, ან ასოცირებული წევრის სტატუსი გააჩნიათ, – განაცხადა მედვედევმა.

რუსეთის პრემიერის სიტყვებში გაღიზიანება აშკარად იგრძნობოდა. უკრაინელი ექსპერტები თვლიან, რომ ეს იანუკოვიჩის პოლიტიკის შედეგია.

– რუსეთი იმედოვნებდა, რომ იანუკოვიჩის დახმარებით უკრაინას დსთ-ს საბაჟო კავშირში ჩაითრევდა. საამისოდ კრემლმა უდიდესი სამუშაო ჩაატარა. პროექტში უზარმაზარი ფულიც ჩაიდო და როგორც აღმოჩნდა, ტყუილად! – წერს პოლიტოლოგი ვიტალი ბალა.

უკრაინის მიმართ რუსეთის პოზიცია კატეგორიული იყო: ქვეყანამ ევრო-ინტეგრაციაზე უნდა უარი განაცხადოს და დსთ-ს საბაჟო კავშირში განევრიანდეს. მოსკოვში იმედოვნებდნენ, რომ იანუკოვიჩი ამ საქმეში მათი მოკავშირე იქნებოდა. უკრაინაში ხომ სახეზე იყო როგორც კლანური დაპირისპირება, ასევე კატასტროფული სოციალური ფონი. ქვეყნის ბიუჯეტი თვით ომში დამარცხებული ერაყის ბიუჯეტზეც ნაკლებია.

– ხელისუფლებაში იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგ მისი „ოჯახის“ პოზიციები მეტისმეტად გაძლიერდა, – თვლის პოლიტოლოგი ტარას ბერეზინეცი, – პრეზიდენტის ვაჟი მილიარდერი გახდა და მის გარშემო ძმაკაცების, ახლობლების, ნათესავების წრე შემოიკრიბა. ამ ხალხმა მსუყე ლუკმა უმალ დაითრია და ძველი ოლიგარქების (ახმეტოვი, პინჩუკი და ა.შ.) შევიწროება დაიწყო.“

ოლიგარქებს, ბუნებრივია, ეს არ მოეწონათ და შიდაკლანური დაპირისპირებაც გამძაფრდა. ახმეტოვის, პინჩუკის თუ სხვა „ვეშაპების“ დამარცხება იოლი როდია. მხოლოდ საკუთარი ძალებით იანუკოვიჩი ამას ვერ შეძლებდა. ამას სხვა პრობლემებიც დაემატა. ტიმოშენკოს, ლუცენკოსა თუ სხვა ლიდერთა დაპატიმრების გამო დასავლეთთან ურთიერთობები გართულდა. ბრიუსელის ტონი სულ უფრო მკვახე ხდებოდა და ექსპერტები უკვე ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციაზე ალაპარაკდნენ.

– უკრაინა სოციალური აფეთქების ზღვარზეა, – აღნიშნავდნენ ბი-ბი-სის კომენტატორები, – აქ მეორდება იგივე სქემა, რაც ბელორუსში განხორციელდა: ლუკაშენკო მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ რუსეთი დაეხმარა, თუმცა ეს ქვეყნის საბაჟო კავშირში შესვლის ფასად დაუჯდა. ახლა ეს ვარიანტი იანუკოვიჩის წინაშეც დგას.

ისმის კითხვა, მართლა წავიდოდა კი უკრაინის პრეზიდენტი ბელორუსული სცენარის გათამაშებაზე? დღეს ამაზე ბევრს დავობენ. ცხადია ერთი: ვიქტორ ფიოდოროვიჩს ბელორუსული ვარიანტი ნამდვილად არ სურდა.

– იანუკოვიჩი ძალზე ამბიციურია, – წერს ექსპერტი ვადიმ კარასიოვი, – ასეთი კაცი ძალაუფლებას არავის გაუყოფს. ამას გარდა, ვიქტორ ფიოდოროვიჩს მეტისმეტად აღელვებს ის, ისტორიაში როგორ შევა. ცნობილია, რომ ახლობლების წრეში მან განაცხადა: მე უკრაინას ევროპაში შევიყვან, ანუ გავაკეთებ იმას, რაც ვერც მაზეპამ, ვერც პეტლიურამ და ვერც ბანდერამ ვერ შეძლესო.

ბუნებრივია, ამან იანუკოვიჩის, როგორც ლიდერის, პოზიციაზე იმოქმედა. ამავე დროს ცთუნებაც უდიდესი იყო. ბელორუსული სცენარის განვითარების შემთხვევაში ხომ პირად ძალაუფლებასაც განიმტკიცებდა, კონკურენტებსაც დაამარცხებდა, სოციალურ პრობლემებს (თუნდაც დროებით) მოაგვარებდა, ხელისუფლებაში კი განუსაზღვრელი ვადით დარჩებოდა, შემდეგ ძალაუფლებას შვილს გადასცემდა.

– ახლა მთავარია მისი უდიდებულესობა უკრაინელი ხალხის პოზიცია! – წერდა ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი, – გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მან უნდა თქვას!

ასეც მოხდა. სოციოლოგიური გამოკითხვები ცალსახად მიუთითებდნენ, რომ უკრაინელთა უმრავლესობა (70 პროცენტი) ევროკავშირთან დაახლოების მომხრეა, 20 პროცენტს ეს საკითხი არ აინტერესებს და მხოლოდ ათი პრიცენტია წინააღმდეგი. ფრიად საინტერესო სურათი შეიქმნა აღმოსავლეთ რეგიონებში: იქაური მოსახლეობის ყველაზე აქტიური ქმედითი ნაწილი (ინტელიგენცია, სტუდენტობა, ბიზნესმენები) მხარს ევროკავშირთან დაახლოებას უჭერენ, უმრავლესობისათვის ყველაფერი სულერთია და პოლიტიკისაგან თავი შორს უჭირავს, წინააღმდეგია უმცირესობა, ვინც თვით უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებშიც უმცირესობაშია.

– ესენი ძირითადად ვეტერანები და ლუმპერები არიან, – თვლის „სვობოდას“ ლიდერი, უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ოლეგ ტიაგნიბოკი, – ჩვენი კომუნისტები ბევრს ეცადნენ, რათა აღმოსავლეთ უკრაინის მუშები (ვისი მდგომარეობაც მართლა მძიმეა), უმუშევრად დარჩენილი სპეციალისტები (ამისთანები კი, სამწუხაროდ, უხვად არიან) და საერთოდ ახალგაზრდობა (რომელიც მეტწილად დაუსაქმებელია) მიემხროთ. ეს ჩაშალა.

ვეტერანებსა და ლუმპერებზე დაყრდნობით ფონს ვერ გახვალ. საპარლამენტო არჩევნებიც მოსკოვისათვის არასასურველი შედეგით დასრულდა. მართალია ახალი პარლამენტი ძალზე ჭრელია (ამიტომაც მუშტი-კრივი და დაპირისპირება იქ ჩვეულებრივი მოვლენაა), მაგრამ პრო-დასავლური კურსის საკითხში იქ კონსენსუსია. პარლამენტმა ევროინტეგრაციის მხარდამჭერი განცხადება ერთსულოვნად მიიღო. კენჭისყრაზე მას მხარი დაუჭირა როგორც ეროვნულ-დემოკრატიულმა ოპოზიციამ, ასევე იანუკოვიჩის რეგიონების პარტიამაც. უკრაინის საბაჟო კავშირში შესვლას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა უკრაინელი ოლიგარქების უმრავლესობაც, ისინი, ვინც იანუკოვიჩი ხელისუფლებაში მოიყვანა.

– უკრაინის საბაჟო კავშირში შესვლის გადაწყვეტილება რომ მიგვეღო, ეს მთელს ქვეყანას ააფეთქებდა, – თვლის ყოფილი ვიცე-პრემიერი ტიგიპკო, – ევროინტეგრაციას ხომ მოსახლეობის უმრავლესობა უჭერს მხარს, მათ შორის ბიზნეს-ელიტა, ინტელიგენცია და ახალგაზრდობა.

კრემლი კი თავისას მოითხოვდა. ვლადიმერ პუტინმა იანუკოვიჩს მხარდაჭერაც აღუთქვა, აქაოდა, არავითარი აფეთქება არ მოხდება და ნებისმიერი წინააღმდეგობის ჩახშობაში დაგეხმარებითო. ვიქტორ ფიოდოროვიჩი პირდაპირი პასუხის გაცემას გაურბოდა. „ვნახოთ“, „მოვიფიქრებთ“, – ასე პასუხობდა ის პუტინს და პარალელურად დასავლეთთან ურთიერთობების დალაგებას შეუდგა. მოსკოვი ამან აღაშფოთა:

– იანუკოვიჩი ორ სკამზე ზის. ვიქტორ ფიოდოროვიჩს შევახსენებ, რომ მისი წინამორბედი ლეონიდ კუჩმაც ასე იქცეოდა. შედეგად კი ნარინჯისფერი რევოლუცია მოიმკო, – კრემლის ეს პოზიცია ამჯერად კონსტანტინე ზატულინმა გაახმოვანა.

ამრიგად, თამაშმა საპირისპირო შედეგი გამოიღო. მოსკოვი იანუკოვიჩით უკმაყოფილებას უკვე ხმამაღლა გამოთქვამს. კრემლმა უკრაინაზე წნეხი გააძლიერა. ეკონომიკური ბერკეტების გარდა, სცადეს მასობრივი პრორუსული აქციები მოეწყოთ. აქ გამოირკვა, რომ მოსახლეობა ამას მხარს არ უჭერს, მიტინგებზე 100-200 კაცზე მეტის შეკრება ვერ მოხერხდა. ასევე მარცხით დასრულდა ყირიმში დესტაბილიზაციის აგორების მცდელობებიც.

– მართალია ყირიმელ თათრებსა და ავტონომიის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას შორის დაძაბული ურთიერთობებია, მაგრამ ორივე მხარე დაშვებულის ზღვარს არ გასცდა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

მოსკოვის ზეწოლის გაძლიერებამ რუსულ-უკრაინული ურთიერთობები დაძაბა. ცეცხლზე ნავთი დაასხა იმან, რომ იანუკოვიჩით იმედგაცრუებულმა რუსეთმა ახალი საყრდენის ძებნა დაიწყო. არჩევანი ვიქტორ მედვედჩუკზე გაკეთდა. ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში მედვედჩუკი ცნობილი იურისტი გახლდათ (სახელი გაითქვა იმით, რომ დისიდენტ ვასილი სტუსის ადვოკატი იყო). პოლიტიკაში 1991 წლის შემდეგ მოვიდა. მისი კარიერის პიკი ლეონიდ კუჩმას პრეზიდენტობას უკავშირდება. მედვედჩუკი მაშინ კუჩმას ადმინისტრაციის თავკაცი გახდა.

– ამისი წყალობით ქვეყნის ერთ-ერთ ყველზე მდიდარ, გავლენიან მოქალაქედ გადაიქცა, – წერს „უკრაინსკე სლოვო“.

მედვედჩუკი მიღწეულს არ დასჯერდა და პრეზიდენტობისათვის ბრძოლა წამოიწყო. მხარდაჭერას მოსკოვში ეძებდა, ამიტომ ხმამაღლა აფიქსირებდა, რომ რუსეთ-უკრაინის დაახლოების მომხრეა, მხარს უჭერს უკრაინის ფედერალიზაციას, რუსული ენისათვის მეორე სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას, ეწინაარმდეგება ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას. მედვედჩუკი არც უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ ცილისმწამებლურ გამოთქმებს ერიდებოდა, ანუ იქცეოდა ისე, როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცის ბევრი მედროვე-პოლიტიკანი. შემდგომმა მოვლენებმა მის პატივმოყვარულ გეგმებში სერიოზული კორექტივები შეიტანა. მედვედჩუკიც მეორე პლანზე გადავიდა, თუმცა ეს დროებითი იყო. რაც უფრო რთულდებოდა რუსულ–უკრაინული ურიერთობები, მით უფრო იზრდებოდა მედვედჩუკის აქტიურობაც. აკი მოსკოვს რამდენჯერმე ესტუმრა. მედვედჩუკი პირადად პუტინმა მიიღო. მალე უკრაინელი ექსპერტები ე.წ. „კრემლის ახალ პროექტზე“ ანუ მედვედჩუკზე ალაპარაკდნენ. თავად მედვედჩუკმა კი ტელევიზიით ხმაურიანი განცხადებები გააკეთა:

– სოციალური გამოკითხვების შედეგები, რომელსაც ხელსუფლება ცხვირში გვჩრის, ბლეფია! სინამდვილეში მოსახლეობა საბაჟო კავშირში შესვლის მომხრეა. მოვითხოვ, რათა ამ საკითხზე რეფერენდუმი ჩატარდეს, ხალხმაც თავისი პოზიცია ხმამაღლა დააფიქსიროს!

ვიტალი ბალას აზრით, კრემლი უკრაინაში მოქმედი თავისი აგენტურის მუშაობით უკმაყოფილოა. ამიტომაც ცდილობენ, ახალი პროექტები აამოქმედონ. მედვედჩუკიც ერთ-ერთი ასეთი პროექტია. ბალას აზრით, კრემლის სცენარი ასეთია: მედვედჩუკი ახალ ორგანიზაციას ჩამოაყალიბებს, სადაც არსებული რეჟიმი თუ მათი ყოფილი ოლიგარქები გაერთიანდებიან. ორგანიზაცია აშკარა ულტრამემარცხენე და პროსტალინური ფრაზეოლოგიით გამოვა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებზე, სადაც რუსულენოვანი პროლეტარიატია თავმოყრილი.

– მედვედჩუკმა სწორედ ეს ხალხი უნდა აიყოლიოს. პრორუსული ლოზუნგების დროშის ქვეშ დარაზმოს, ანუ გააკეთოს ის, რაც კომუნისტებმა ვერ შეძლეს, – თვლის ბალა.

მედვედჩუკის გააქტიურებამ იანუკოვიჩი შეაშფოთა. კონკურენტი ხომ იმავე ელექტორატზე მუშაობდა, რომლის წყალობითაც ვიქტორ ფიოდორივიჩმა თავის დროზე არჩევნებში გაიმარჯვა. იანუკოვიჩიც რუსეთის დაშოშმინებას შეეცადა. პრემიერმა აზაროვმაც გააკეთა განცხადება, აქაოდა უკრაინა გაზის კონტრაქტების გადასინჯვისათვის საერთაშორისო სასამართლოს არ მიმართავსო. ამას ნტვს ღვარძლიანი კომენტარი მოყვა:

– რაო, ჩვენს უკრაინელ კოლეგებს ასეთი გულმოწყალეობის გამო მადლობა ვუთხრათ?

გაღიზიანება გამოიწვია აზაროვის მეორე განცხადებამაც, უკრაინა შესაძლოა საბაჟო კავშირში მეთვალყურის როლს დათანხმდესო. რუსეთის პრემიერმა მედვედევმა თავისი განცხადება სწორედ ამის საპასუხოდ გააკეთა. ამრიგად რუსულ-უკრაინული ურთიერთობები ჩიხში შევიდა.

– ჯობდა იანუკოვიჩს სათქმელი პირდაპირ ეთქვა, – თვლის უკრაინული ეროვნულ-დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ვიტალი კლიჩკო, – როცა კაცურად გეკითხებიან, შენც პირდაპირ უნდა მიუგო: საბაჟო კავშირში არ შემოვალ, ევროპასთან დაახლოება მსურს, მაგრამ რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებსაც შევინარჩუნებ–თქო! იანუკოვიჩმა ამას თამაში ამჯობინა, რითაც კრემლი კიდე უფრო გააღიზიანა.

ვიქტორ ფიოდოროვიჩი მკვეთრი განცხადების გაკეთებას უკანასკნელ მომენტამდე ერიდებოდა. რუსეთის წნეხიც გაძლიერდა. იანუკოვიჩი იძულებული გახდა უფრო ხისტი გამხდარიყო:

– საბაჟო კავშირში შესვლა ჩვენს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება!

რუსეთმაც უკრაინაზე ზეწოლა გააგრძელა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ კრემლში ჯერჯერობით ერთსულოვნება როდია. არიან ძალები, რომლებიც თვლიან, რომ მედვედჩუკი არასანდო პარტნიორია. მათი პოზიცია ყირიმელი სეპარატისტების ყოფილმა ლიდერმა იური მეშკოვმა გაახმოვანა:

– მედვედჩუკი ისეთივე ოლიგარქია, როგორც ახმეტოვი, პინჩუკი და სხვები. მისი ხელისუფლებაში მოსვლით არაფერი შეიცვლება!

მეშკოვის აზრით, მთავარი პრობლემა პიროვნებაში რიდია. სანამ არსებობს ერთიანი უნიტარული უკრაინული სახელმწიფო, ყველა, ვინც კი მის სათავეში მოექცევა, ამა თუ იმ ფორმით დამოუკიდებელი კურსის გატარებას მოინდომებს. შესაბამისად დასავლეთი მისთვის უფრო ახლობელი იქნება, ვიდრე მოსკოვი.

– აუცილებელია მოხდეს უკრაინის ფედერალიზაცია, შემდგომში კი მისი ხავერდოვანი დაშლა, სხვანაირად არაფერი გამოვა, – ამტკიცებს მეშკოვი.

სეპარატისტული ძალებიც უკრაინაში აქტიურდებიან. პროპაგანდა დღისით-მზისით, ფაქტიურად ღიად მიმდინარეობს. ოლეგ ტიაგნიბოკმა ამაზე პარლამენტის ტრიბუნიდან არაერთგზის განაცხადა.

– ისინი ფრიად დახვეწილად მუშაობენ, – ამბობს ტიაგნიბოკი, – უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში აქცენტი ეკონომიკაზე კეთდება, აქაოდა აღმოსვლეთი უკრაინა მუქთახორა „ზაპადენცებს“ ინახავსო. თუკი უკრაინის შემადგენლობიდან გავალთ, ჩვენი დოვლათის ბატონ-პატრონი თავად გავხდებით, ხალხიც უკეთესად იცხოვრებსო. დასავლეთში კი სხვა კარტს ათამაშებენ. იქაურებს ეუბნებიან, აღმოსავლეთ უკრაინა რუსეთის შემადგენლობაში სამასი წელი იმყოფებოდა, იქაური მოსახლეობაც საბოლოოდ გარუსდა და ეს პროცესი სტალინის დროს დასრულდაო. დღეს თქვენი ფასეულობები მათთვის მიუღებელია. მოგწონთ თუ არა, ისინი სხვა ხალხია, თქვენ – სხვა. ასეთია რეალობა. თუკი ერთიანი უკრაინული სახელმწიფო შენარჩუნდა, გაუთავებელი ჩხუბი და კინკლაობა იქნება. ვერანაირი რეფორმები ვერ გატარდება, კანონი ვერ იკანონებს, მოსახლეობასაც არაფერი ეშველებაო. ასეთ „სიბრძნეს“ ვისმენთ ტელეეკრანებიდან, გაზეთებიდან და ეს დაუსჯელად, დღისით–მზისით ხდება! ხელისუფლება თხემით ტერფამდე კორუმპირებული და აბსოლუტურად ქმედითუუნაროა! ის უძლურია მტრის აგენტურა გააუვნებელყოს.

მართლაც, უკრაინულ ტელე-რადიო სივრცეში ჯერჯერობით რუსული კომპანიები დომინირებენ. ძირგამომხრელი პროპაგანდაც ღიად, დაუსჯელად მიმდინარეობს. მთავრობამ ამას ვერაფერი დაუპირისპირა. გადამწყვეტი სიტყვა კვლავ მოსახლეობამ თქვა. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, უკრაინის ფედერალიზაციას მხარს მხოლოდ სამი პრიცენტი უჭერს, ამდენივე შესაძლებლად მიიჩნევს და მიესალმება უკრაინის საბოლოო დაშლას. დონეცკის ოლქის მოსახლეობის 80 პროცენტი ლვოველთა მიმართ კეთილადაა განწყობილი, თვლის რა, რომ ლვოველები და დონეცკელები ერთ ერს წარმოადგენენ. ლვოვშიც იგივე სურათია.

– ჩვენმა ხალხმა მართლაც შესაშური სიბრძნე გამოიჩინა. ამიტომაც უკრაინაში ვერც პრორუსული სეპარატიზმი განვითარდა, ვერც მასობრივი მოსკვიფილური მოძრაობა გაიშალა. აღმოსავლეთ-დასავლეთ უკრაინა ერთ მთლიანს წარმოადგენს. ეს ასე იყო, ასე არის, ასე იქნება! – აცხადებს ვიტალი კლიჩკო.

ამრიგად, უკრაინა რუსეთ-ბელოუსია-ყაზახეთის კავშირს არ შეუერთდა. მიუხედავად უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობისა, ქვეყანა ევროპისკენ სვლას განაგრძობს. რუსულ-უკრაინული დაპირისპირების მთავარი მიზეზიც ამაშია. ბრძოლა გრძელდება.

ნიკა თევზაძე

სამგლოვიარო განცხადებები

ნარგიზა ჩალაძე-აშორტიას გახსენება

წელს შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენი ლამაზი სული ზეცაში ავიდა. ყველას ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები და გვიყვარხარ.

ღმერთს ვევედრებით, რომ ნათელში გვიმყოფოს შენი სული!

შენი მეუღლე გურამ აშორტია, შვილები, შვილიშვილები და ახლობლები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 2. ქიმიური ინდიკატორი; 3. ორი სხვადასხვა ლითონის ფენისგან დამზადებული ფირფიტა, ნაკეთობა; 4. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 5. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 8. მაღალი მორალური ადამიანური ღირებულება; 9. არჩეული წარმომადგენელი; 12. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 13. ქართული ტელეკომპანია; 16. სამეფო საგვარეულო; 17. ცხვრის ფარას დიდ ქოფაკი; 19. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. უბანი თბილისში.

თარაზულად: 6. უქნარა, უსაქმური ადამიანი; 7. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 8. სანთლიდან ჩამონაჟონი წვეთი; 10. სუდანის დედაქალაქი; 11. იაპონური ბრინჯის არაყი; 14. უძველესი გერმანული ტომი; 15. სულიერი დაძაბულობით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 18. მგალობელი ჩიტი; 21. ქართული ოდის აივანი; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 23. უცხოური ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. ფრანგი მწერალი, მეიგავე.

შეადგინა თ.ვოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხანჩალი; 2. ჰიპოთეზა; 3. საფარა; 4. ბუერი; 5. გოზინაყი; 8. საზამთრო; 12. დანი; 13. ჰონოლულუ; 14. ისრიმი; 16. მარიჯანი; 18. „სანტე“; 20. ოქრო.

თარაზულად: 6. მარიფათი; 7. წყალტუბო; 8. სუდოკუ; 9. ჩალმა; 10. მეცენატი; 11. შვიდეული; 15. ზომერჰოისი; 17. ვინიცა; 19. მონოციკლი; 21. მურმანი; 22. ბუდაპეშტი; 23. „როლექსი“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ანანური; 2. სინდისი; 3. ჰიუსტონი; 4. პარიკი; 5. სოინარი; 8. მანდატი; 9. იოსემიტე; 12. დეპარდიე; 13. ფსირცხა; 16. ვერდიქტი; 17. ტუგრიკი; 19. აწყური; 20. ჯულეპი.

თარაზულად: 6. ინსტინქტი; 7. „ნაცნობი“; 8. „მოსადი“; 10. „პუბლიკა“; 11. პატო; 14. ვისკონტი; 15. სპინინგი; 18. თეორია; 20. წახნაგი; 22. სუეცი; 23. იანუსი; 24. ციხისძირი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6595	ევრო — 2,1431
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,512	100 რუსული რუბლი — 5,3628

ამინდის პროგნოზი 23 მარტისთვის

შენგელიას ქულები მის გუნდს არ ეყო

თორნიკე შენგელიას 27 ქულა საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ „სპრინგფილდ არმორს“ ნბა-ს განვითარების ლიგაში მორიგი გამარჯვება მოეპოვებინა. ქართველი ფორვარდის გუნდმა ცენტრალური დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერ „ოსტინ ტოროსს“ უმასპინძლა და დამატებით დროში 123:129 დამარცხდა. სპრინგფილდელები მეოთხე პერიოდში 17 ქულით (99:82) იგებდნენ, თუმცა ოსტინელებმა მოახერხეს გათანაბრება. ძირითადი დროის ბოლო წუთები სტუმრებმა 7:0 მოიგეს და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიზარდა. ძირითადი დროის ბოლო შეტევა თორნიკემ ითავა, მაგრამ არაზუსტად. შენგელიამ აცილებული მოხსნა და განმეორებით სროლა მოასწრო, მაგრამ კალათში არც ის ჩაეშვა.

დამატებით 5-წუთეული სტუმრებმა 8:2 მოიგეს და გამარჯვებას დაეპატრონნენ. შენგელიამ სპრინგფილდელთაგან ყველაზე მეტი – 41,37 წუთი ითამაშა. ქართველმა ფორვარდმა 21-დან 11 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, რამაც მთლიანობაში 27 ქულა შეადგინა. ქართველი ფორვარდის ანგარიშზე 6 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრაც იყო, ბურთი კი 3-ჯერ დაკარგა.

28 ქულითა და 9 პასით არმორელთაგან საუკეთესო ნბა-ში თამაშის სოლიდური გამოცდილების მქონე დომინიკ ჯონსი გახდა, ხოლო „ბრუკლინ ნეთსში“ შენგელიას თანაგუნდელმა ტაიშონ ტეილორმა 25 ქულა და 7 პასი მიითვალა, თუმცა ბურთიც 7-ჯერ დაკარგა.

საინტერესო ფაქტები ნბა-ს ისტორიიდან

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია მთელ მსოფლიოში საუკეთესო საკალათბურთო ლიგად არის მიჩნეული. მისი წინამორბედი იყო ბაა, რომელიც ნიუ იორკში 1946 წლის 6 ივნისს შეიქმნა. ნბა-მ თავისი ამჟამინდელი სახელწოდება 1949 წელს მიიღო

ახლა კი საინტერესო ფაქტები ნბა-ს ისტორიიდან:

1950 წელი: პისტონსი-ლეიკერსი 19:18. ყველაზე დაბალშედეგიანი მატჩი ნბა-ში.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ასტროპროგნოზი

23 მარტი – ნახმატებული დღეა

ვერძი – სახლში დიდი სიხარული გელით. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ. **კირჩხიბი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს, კმაყოფილი დარჩებით. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – შეიცვალეთ იმიჯი, წარმატება უფრო მოვა. **ღრიანკალი** – ფული არ დახარჯოთ, შეაგროვეთ. **მშვილდოსანი** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **თხის რქა** – მოერიდეთ ხმაურს, მშვიდ ადგილს ესატუმრეთ. **მერწყული** – ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ. **თევზები** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

24 მარტი – შემოქმედებითი დღეა

ვერძი – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კური** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, სიხარულის შეგრძნება არ გტოვებთ. **ტყუპები** – არავის აჰყვეთ, საკუთარ გულს დაუჯერეთ. **კირჩხიბი** – ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ. **ლომი** – ფული გაქვთ, ყველაფერს იყიდით, რაც გსურთ. **ქალწული** – იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ღრიანკალი** – საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **მშვილდოსანი** – თავს მიხედეთ, ზედმეტს ნუ აიღებთ თქვენს თავზე. **თხის რქა** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მერწყული** – იყავით მიმტევებელი და უფრო გაგიმართლებთ. **თევზები** – შორი გზიდან ვიღაც მოდის და თქვენთვის კარგი ამბავი ჩამოაქვს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

რომის პაპი: ღარიბების დასახმარებლად უფრო მეტი უნდა გაკეთდეს

რომის ახალმა პაპმა დასავლეთს მოუწოდა უფრო გააღმრავოს დიალოგი ისლამურ სამყაროსთან, მსოფლიოს კი მოუწოდა რომ უფრო აქტიურად მოხდეს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა.

მოწოდებები პონტიფიკოსმა ვატიკანში აკრედიტირებულ დიპლომატებთან შეხვედრისას გააკეთა. პაპმა, რომელიც იტალიურ ენაზე საუბრობდა, აღნიშნა, რომ მდიდარმა ქვეყნებმა აქტიურად უნდა იბრძოლონ სიღარიბის წინააღმდეგ. პაპი ძალიან მოხარულია იმის გამო რომ მისი ინაუგურაციის ცერემონიას მრავალი მუსლიმი რელიგიური და სამოქალაქო პირი ესწრებოდა.

„სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც სულიერი ასევე მატერიალური თვალსაზრისით, მშვიდობის მშენებლობა – ესენი, ისევე როგორც ადრე, ის უმთავრესი საკითხებია, სადაც სათანამშრომლოდ მე აქ წარმოდგენილი ყველა დიპლომატის ქვეყანა მინდა მოვიწვიო“, – აღნიშნა რომის პაპმა.

შეგახსენებთ, ფრანცისკ პირველის განცხადებას, რომ მას სურს კათოლიკურ ეკლესიაში დაინახოს ღარიბი და მშვიდობისმოყვარე ადამიანი. მისი თქმით, აპარტამენტები, რომელიც რომის პაპისთვის არის განკუთვნილი 300 კაცს ეყოფა და უკვე გასცა ბრძანება მას მხოლოდ შენობის მცირე ნაწილი დაეთმოს. ასევე იტალიური გამოცემა „ლა სტამპა“ წერს, რომ ახალი პაპი ტელეფონიდან თავისით რეკავს და ამისთვის მდივანს არ აწუხებს. ასევე ცნობილია, რომ პაპმა უარი განაცხადა მდიდრულ ტახტზე და მისი ჩვეულებრივი სავარძლით შეცვლა მოითხოვა.

ჯოსვოიდი

შვეულად: 1. საქართველოში გავრცელებული წითელ, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 3. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 5. ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. პირველი კოსმონავტი; 12. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 13. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია საქართველოში; 16. აზნაურის ტიტული ესპანეთში; 17. მსუბუქი სამრეწველო საქონლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 19. ისტორიული ციხე-ქალაქი ტაო-კლარჯეთში; 21. ხის, ზედა განტოტვილი ნაწილი; 23. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

თარაზულად: 6. ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულთა ჯგუფი ოკეანეში; 7. ეგვიპტელი ქრისტიანები; 8. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 9. გარემომცველ პირობათა ერთობლიობა; 14. მოსამართლე ძველად საქართველოში; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი, ბრიტანეთის საპატიო რაინდის ტიტულის კავალერი; 18. ცხენშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 20. სან-რემოს კინოფესტივალის გრან-პრის მფლობელი, თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 22. ყვითელი ფერის ლითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 24. მთა თბილისში; 25. უნივერსიტეტი ინგლისში; 26. შტატი ბრაზილიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ნიკოლა სარკოზის ბრალი წაუყენეს



საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის ბრალი წაუყენეს.

სარკოზის ე.წ. ბეტანკურის საქმესთან კავშირში ადანაშაულებენ.

ბრალის წაყენების თაობაზე გადაწყვეტილება მოსამართლეებმა დაკითხვის ოქმებზე დაყრდნობით მიიღეს. სარკოზის ბრალდება ბეტანკურის თანამშრომლებთან ჯვარედინი დაკითხის შემდეგ წაუყენეს. გამომძიებლები ცდილობენ დაადგინონ, რამდენჯერ შეხვდა სარკოზი საფრანგეთის უმდიდრეს ქალბატონს. ყოფილი პრეზიდენტის მტკიცებით, ასეთი შეხვედრა მხოლოდ ერთხელ შედგა, ხოლო ბეტანკურის გარემოცვის განცხადებით, შეხვედრა რამდენჯერმე განმეორდა. სარკოზის ადვოკატი აცხადებს, რომ გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი და გაუგებარია და მის გასაჩივრებას აპირებს.

გამოძიება აცხადებს, რომ 2007 წელს ნიკოლა სარკოზიმ „ლორეალის“ ბიზნესიმპერიის მემკვიდრის ლილიან ბეტანკურის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიყენა და მისგან წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად ფული მიიღო.

გამოძიების მონაცემებით, სარკოზიმ ბეტანკურისგან 150 ათასი ევრო მიიღო, მაშინ როდესაც საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატს კერძო პირისგან 4,6 ათას ევროზე მეტი შემოწირულობის მიღება ეკრძალება.

გამოძიება 2007 წელსვე დაიწყო. პრეზიდენტობისას სარკოზის იმუნიტეტი იცავდა, თუმცა არჩევნებში ფრანსუა ოლანდის გამარჯვებისთანავე სამართალდამცველებმა სარკოზის სახლი და ოფისი გაჩხრიკეს.

წინათ, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ბრალი 17 ადამიანს წაუყენეს.

ბარაქ ობამამ ისრაელში სამდღიანი ვიზიტი დაასრულა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ისრაელში 3-დღიანი ვიზიტი დღეს დაასრულა. ამის შესახებ „ევრონიუსი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, ვიზიტის ბოლო დღეს ობამამ გვირგვინით შეამკო გერცლის მთაზე მდებარე სიონიზმის დამაარსებლის, თეოდორ გერცლისა და ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის საფლავები. აშშ-ის პირველმა პირმა ასევე მოინახულა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალური კომპლექსი.

მანამდე, ბარაკ ობამამ ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან ერთად განაცხადა, რომ ისრაელი და ამერიკა ირადან მომავალ ბირთვულ საფრთხესთან დაკავშირებით ერთნაირ პოზიციაზე დგანან. იერუსალიმში გამოსვლისას, ორივე ლიდერმა ხაზი გაუსვა ისრაელის თავდაცვის უფლებას.

გაგრძელება მე-9 გვერდზე